

საუბაწვილო ნახატებიანი  
ქურნალი

№ IX

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1908




შ ი ნ ა ა რ ს ი

უკრნალ „ჯეჯაღისა“

|      |   |    |
|------|---|----|
| I    | ეს ვილა არა მკითხე გამომიჩნდა. სურათი . . . . .   | 7  |
| II   | მელიას მღევრები (ჟურაფსკიდან) . . . . .   | 3  |
| III  | პატარა მაიმუნი და ქათამი (ჟურაფსკიდან) . . . . .  | 4  |
| IV   | ჩურჩხელები, ჩურჩხელები, ჩურჩხელები! ამბავი ეკ.<br>გაბაშვილისა . . . . .                           | 5  |
| V    | ზღაპარი გიორგი წერეთლისა . . . . .  | 13 |
| VI   | ძმისაგან ნაანდერძევი ლურჯა (გერმანულით) ა. მი-<br>ქაბერიძისა . . . . .                            | 18 |
| VII  | ქიყელა და წერო (გერმანულით) ა. ფ-ის . . . . .   | 28 |
| VIII | შაშვი, ლექსი შ. მდგომეჯისა . . . . .  | 35 |
| IX   | „კიბუნ-დეზინ“ მოთხრობა იაპონიის განთქმულ მწე-<br>რლისა, ჯენზეი მურაისა. (გაგრძელება) ალ. ნათაძისა | 37 |
| X    | სახელმწიფო წყობილება ჩრდილოეთ ამერიკის შეერ-<br>თებულ შტატებში. ივ. გამარჯაძისა . . . . .         | 46 |
| XI   | ვინ ყოფილა მოლაღური (ხალხური ზღაპარი)<br>ს. დათეშიძისა . . . . .                                  | 52 |
| XII  | ცოდნის გამარჯვება (რუსულით) შემდეგი იქნება<br>ა. ფ—სი . . . . .                                   | 54 |
| XIII | გამოსადეგი ცოდნა, წ. . . . .  | 61 |
| XIV  | წვრილმანი: ანდაზები, შარადა და არითმეტიკული<br>ამოცანა და სხვა . . . . .                          | 63 |





საქართველო ნახატებიანი  
ქურონალი

იზარდვ, მწვანე ჯეჯილო  
დაბურდი, გახდი ყანო!..  
ი. დ.

№ IX

სექტემბერი, 1908

წელიწადი მშენებლობა

თ თ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი ანხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.  
1908





ეს ვილა არა მკითხე გამომიჩნდა!





## გელიას გლავაკები.

ამ რამდენიმე წლის წინეთ ორმა მონა-  
დირემ შენიშნეს შორიდან, რომ ერთი  
დიდი ძელია გაცხარებული ძირბოდა და  
მას თავზე აუარება ბელურები და ჭივ-  
ჭაუები დასტრიალებდნენ. ჩიტები ეტეობოდა გამწარყ-  
ბული ასდევნებოდნენ ძელიას, სოგიერთი ჩიტი წამ-  
დაუწუმ ჩაბფრინდებოდა ძელიას თავში და კორტნი-  
და. ბოლოს ძელიამ დიდი ვაივაგლახით შეაფარა თა-  
ვი სადღაც ფარდულს. ჩიტები კიდევ დიდხანს ამ ფარ-  
დულს თავს დასტრიალებდნენ. მერე, რაკი ნახეს, რომ  
ჟღარას გააწეობდნენ და მსხვერპლი წაუვიდათ — გას-  
წიეს თავთავიანთ გორბ-ძიებში.

უსათუოდ ძელია შესჩეოდა მათ ბუდეებს ბარტ-  
ვების მოსაპარათ, ამიტომაც ჩიტებს თავი მოეყარათ  
ძტრის მოსაგერებლათ.

საერთოთა განვლბ ძტერსე ეოველთვის გამარჯვე-  
ბით თავდება.

(ჟურავსკიდან)



საბარტოვალოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საბარტოვალოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# პატარა მაიმუნი და ქათამი.



რთ ოჯახში შეხვეული ჰქვენდთ  
პატარა მაიმუნი, მეტათ ეძმაკა და  
გაიძვერა. მისი ეძმაკობა მოსწყუ-  
ნებას არ აძლევდა სხვებს და სძი-  
რად თვითონაც ლაზათიანად მოს-  
ვდებოდა. რასაც ჩაიგდებდა ეს მაი-  
მუნი—მოიტაცებდა. ერთხელ მ-  
კიდრიან გადმოიღო პატარა ქვა-  
ბი რძით, ფრთხილათ წინა თათ-  
ბით მოჰკვიდა სელი, რომარდაე-

ღვარა და ისე თავმოძწონეთ მიჰქონდა თავისი საუსმე.

ამ დროს მოსამსახურე დედაკაცი შეეფუთა ოთახში  
და ცოცხით კარგა ლაზათიანათ მიტყემა ეს ქურდ-  
ბაცაცა. მას აქეთ მაიმუნი გადაეხვია რძის მოპარვას.

მეორეჯერ ეს მაიმუნი საქათამში შეიპარა და კვერ-  
ცხები ჩაღეწა. კრუსს ჯერ შეეძინდა, წამოვარდა კვერ-  
ცხებიდან, ფრთა-ფრთას შემოჰკერა და დაიწყო კაკანი.  
მაგრამ როდესაც კარგა დახცქერდა და დაინახა რომ  
პატარა მაიმუნის ეძმაკობა იყო, კრუსი საშინლათ  
განრისხდა და დაუწყო კორტნა ისე, რომ მაიმუნი  
ხსავილით გავარდა.

მას შემდეგ მაიმუნს აღარ გაუბედნია საქათამს-  
თან მიპარვა და კვერცხებზე ხელის წატანება.

(ჟურაკსკიდან)

ქართული  
ბიბლიოთეკა  
1950



# ჩურჩხელები, ჩურჩხელები, ჩურჩხელები!



თელი ერთი თვეა რაც ჩვენ სახლში მხოლოდ ეს სიტყვები-ღა ისმის. მაშინ, როდესაც მაძა-კაცები ქვევრებს რეცხვენ, საწინახელის გაწეობას, კოდრების წუნას, სართულთ ვენახის გამოწმენდას ანდომებენ, დედაკაცები სულ ჩურჩხელის სამხადისში არიან. რვა ენკენისთვეს კაკლის ბერტევა დაიწყო, დედა თქვენმა კრუფის დროსვე საუკეთესო კაკლები გადააჩრია, დაკროლვა და ჩენჩოსავან გასუფთავებული დიდ ჭილობსედ გაგვაშლეინა მისი გულსედ და თითონ ბაღკონიდან თვალ მოუძორებლივ ორი-სამი დღე უგარბულა.

— იქით, იქით, ონავარო, ეუბნებოდა ჰატარა ნიკოს, რომელიც წუწკი ციცუნისავით ოთხსედ დამდგარი, ეპარებოდა კაკლებს.—სახურჩხელებ, სახურჩხლე, არ მიეკარო, თორემ ხელებსედ გცემ.

— ხელი, ხელი არ ასლო, სასტიკად შეუევირს მხარეულ გიგუას, რომელსაც ერთი ორი კაკალი უნდა აეწანა ჩასაკნატუნებლად.—განა სხვა კაკალი



არ მოიპოვეს სასლში, რომ ძაგას არ წაეცანო! არ იცი, რომ სახურჩხლებს!

მესამე დღეს, საღამოსედ, ჩაის შემდეგ, ჭილობ-ზედ შეგროვილი გამძრალი კაკალი ქალბატონის ოთახში შევიტანეთ, გარს შემოუსხედით, წინ პრეტელი ქვები დავიწვეთ, ხელში მრგვლები და შეუდგეთ მტვრევას და რჩევას.

მებაღის ცოლი მართა, იმისი ქალი ნუშკა, ჩვენს პატარა გოგო ანუა, ტარბანანთ ნინუა და თქვენი მოსიყვარულე უძველესი თინათინა. ქალბატონი სტოლთან იჯდა და ჩვენ მიწვდენილ ქალბატონით თეთრ ნიგოზს დიდ სინებზედ აგროვებდა.

მტვრევის დროს ვძლეროდით, ვიცინოდით, რმესავით გემრიელ ნიგოზს ვლუჭდით და თან ვანგარიშობდით, თუ რამდენი ჩურჩხელა უნდა აგვესნა რომ ეველას, ჩვენო ძვირფასებო, გოფნოდათ და ჩვენთვის სტუმარ-მასწინძლისთვისაც ბლომად დაგვრჩენოდა.

ათ საათამდინ ვიძუშავეთ, ათზედ კი ეველანი ჩავჩუძდით, თვალზედ ლული მოგვეპარა, ხელების აღებ-დაღებს უკვლით, ქვების რაკარუკი მიეუჩდა. ქალბატონმა დაღალულობა შეგვატეო და საქმეზედ ხელი აგვაღებინა.

— კმარა, კმარა დღეს. დანარჩენი სვალ საღამოსთვის იეოს, სთქვა იმან და სავსე ლანგრებს გასეთის ფურცლები გადააფარა და განჯინაში შეაწყო.

დილით წუსანდელი დარჩეული ნიგოზი მხეზედ



გაფუნეთ. საღამოზედ კიდევ ვამტვრიეთ კაკალი. ქალბატონი კი თავისის ჯიბის დანით დილით გამსმარ ნიგოზს სახურჩხლედ სჭრიდა. ჩვენ კიდევ ვიცინოდით, ვძღვროდით, ვამტვრევდით, ვარჩევდით და ვღეჭავდით რბით სავსე ნიგოზს. ბევრჯერ მოგიგონეთ თქვენ ვანო, ლადო, ნატო, კატო! საწელებო, რამდენი წელიწადია აღარ დასწრებისაღრთ რთველს, ხურჩხელების გავლებას, ბროლივით თეთრს და შახარივით ტკბილის თათარის წუნწკლების ლოკვას!

როლა ბევრი გაგაგრძელო, მთელი ექვსი დღე ვასწავდით ხურჩხელებს. ორი დღე მარტო თავდებები უკეთეთ მე და ქალბატონმა და მერე ჯარვიცა ჩარბსტული გძელ სარზედ მსეზედ ჩამოჰკიდეთ. ახლა ნარკვევის რჩევას შეუდექით. მთელი საძი დღე ჩავკირკიტებდით ჭვით სავსე სორბაღს და ძლივს ბოლო მოუღეთ. ასე გარჩეული სორბაღი წისქვილში მე თითონ ჩავიტანე. ხვიძირა ჩემის ხელით ამოჰწმინდე, იქაურობა დაგვაგ-დაგვწმინდე, რომ მტვერი არსაით მიჰკარებოდ და სახურჩხლე სორბაღს და ჩემის ხელითვე დაგაუარე წისქვილს.

მანამ სორბაღი ჩამოვიდოდა, წინდით ხელში იქვე წისქვილის კარებში ჩავჯექ და უურს უგდებდი სარეკელას, ღარში დაქანებული წელის შრიაღს, წისქვილის ქვის ერთგვარ გრიაღს, და ეგვალ ეს სმაურობა თითქო ტკბილ ნანას მოუთსრობდა იქვე ტომარაზედ მიერდომილს ტკბილად მძინარე გოვიას.



სორბალი ჩამოვიდა, სიფრთხილით ავუკრიფე თეთრ ჰარკში, თეთრი ფიფქი ფქვილი ჩემსავე ხელით შინ ამოვიტანე. დიდი სათათარე ქვაბები და ვაკაღვინეთ, ციცხვები დაფუსიკეთ, სონჩები დავარააკეთ, ბადაგის გადასასხმელი ქილა-სელადები ქვიშით დავსესეთ და ასე გამსადებულნი მივეგებებით რთველს, რომელიც შედ სვეტიცხოვლობა დღეს განაჩადევით.

იჰ, რა სანეტაროა ეს რთველი! რა სინარულს და კმაყოფილებას გრძნობს ყოველი ადამიანი! მუტადრე მოსარდი თავობაა სოღმე გადარეული და თქვენ კი, ჩემო ჭრუკებო, აქ წიგნებში ხართ თავჩადუნული.

რთველი განაღებული იყო ქალები კალათებში ჰკრეფავდნენ ყურძენს, კაცები მოსაკიდებში ავროვებდნენ, მებაღეები საწნახლისაკენ ეზიდებოდნენ.

ქალბატონი ვენახის ბოლოში კაკალ ქვეშ იჯდა და თეთრს დამკვრანულ ყურძენს სახურჩხლეთ არჩევდა. სახურჩხლე ცალკე ნაუში დაწურეთ და მარნიდგან ზირდაზირ დიდის ქვაბებით შედაღვრებზედ შემოვდგით.

საღამო უამი იყო, თბილი საღამო. მთვარე ოდნავად ბურუსში განსვეული მკრთალად ანათებდა სოფელს და ჩვენი სახლის კარმიდამოს, რომელიც სათათარავე ტკბილების ქვაბების ქვეშიდგან აწრილვებული ცეცხლის შუქით იყო გაჩირადდნებული. აქვე



ქვებზედ, კიბეებზედ ვისხედით ჩვენ ვეკლანი და ქვაბების ადრეებს ველოდით.

კარგა შუა ღამე გადავიდა, საკრძინობლად აცვიდა, როდესაც დუღილით დანახევრებული ქვაბები ცეცხლიდგან გადმოვდგით და წითლათ დარაკრაკებულ ქილა-ხელადებში გადავასხით.

მეორე დღეს ადრინად მობადგებულნი ტკბილი, ქილებში დაწმენდილი ხელა-ხელა, დიდის სიფრთხილით ისევ ქვაბებში გადავიღეთ, ისევ ცეცხლზედ შემოვდგით, გავაცხელეთ ბადაგში გალესილი მოძნადებული ფქვილი ჩავასხით და ნიჩბებივით დიდის ციცხვებით ვიწვეთ რევა, ზელვა, თან ცეცხლს გამძმარი სარის შეძას უმატებდით. ერთ საათზედ თათარამ მოიწია. მე ზირჯვარი გადავიწერე, დმერთს ძაღლობა მიუძღვეს რომ კიდევ შეძასწრო ამ ბედნიერ დღეს და ზირჯვლად ეს მთელ-მთელ ნებლიანი გრძელი ჩურჩხელები ამოვავლე „ეს ჩემ მშვენიერ ვანოს, ეს ჩემ გონიერ ლადოს, ეს დახატულ ნატოს, ეს დაბრძენებულ კატოს“, ვამბობდი და ჩურჩხელებს ქაღალტონის გამომჟერებელ ხელის თითებზედ ვაცმევდი. ქაღალტონი აწოდებდა სარზედ წამოსაცმელად ძალუბ თქვენ ელისაბედს, ელისაბედი მართას, მართა თავის ქალს ნუშკას, ნუშკა გოგია მხარეულს, რომელიც გავსებულ სარებს, წენარად, სიფრთხილით, რომ ჩამოკონწიალებული ჩურჩხელები ერთმანეთს არ მიჭკრობოდა, წინათვე მოძნადებულ ჯინჯიბასებზედ ჰკიდებდა.

მშვენიერი ბრწეინვალი მზე იდგა, კათათვესავით

ცხელოდა. სწორედ სახურჩხლე დარი იყო. ქალბატონი ჰირსედ ღიმილით ამბობდა: თუ ასეთი დარი დაიჭირა, ერთ კვირასედ ხურჩხელები ქალაქს გაიკზავნებო. ხუთასი ხურჩხელა გავაუღეთ, ოცდა ათი სარი გამწვრივებული ეკიდა ჯინჯიბას'სედ. ქალბატონს წელი ასტკივდა ქვაბთან დასრილი დგომით, მე ძაღჯვენა მიცანცანებდა ციცხვის ქნევით, მაგრამ გათავებს არ ვქარობდით. ღსინში კაცს, ჭირი უოველთვის ავიწყდება! ხურჩხლებ ქვემ გაუწილ სუფთა სონჩებ'სედ მუზობელი გლესების გოგობიჭები ხურჩხლის წინწკლებს გაფაციცებით ლოკავდენ: ერთმანეთს სელს ჰკრავდენ, სტაცებდენ, სცემდენ, ტიროდენ, იცინოდენ. ნამდვილი დღესასწაული იყო... მზე მიილულა და ქვაბების ძირებიც გამოჩნდენ. ხურჩხლებს მოვწი და ახლა განქელებული თათარის დარიგებს მოუნდით. ეკელა მესობელს, მოსამსახურეს, მუშებს, თეუშებსედ თითო ციცხვი დაუგლისე. სამსრობა გადასული იყო, როდესაც დიდი ხნით მოკეცილი ჯდომით დაბუსული ძლივსლა ამაყენეს. ქალბატონიც წელში გაწვევტილი ფესედ დგომით ძლივსლა ავიდა ბალკონსედ და მსოლოდ ესლდა მოავონდა, რომ ძთელი დღე ნაური არ ჩასულა ჩვენ ჰირში და სადილის სამსადისს შეუდგა. ჯერ მუსლებში წება, არ ჩაკვდგომოდა, ლუკმა ეელს არ ჩაკვცდომოდა, რომ ქარმა წამოისინა, ხურჩხლებმა რსევა დაიწვეს.

— არიქათ, არიქათ, მიეშველეთ ხურჩხელებს, დგვიკიყინა ქალბატონმა. — ქარი სულ ძირს დასცემს და ამდენი ხნის ამაგს მტვერში ამოგვივლებს.



სახქაროთ გავცვივდით, დიდი და ზატარა სარების კრეფას შეუდევით. ნელა-ნელა ამოგვექონდა კიბეზედ და სასტუმრო ოთახში ორ სტოლშუა ვკიდებდით. მერე შემძრალი ჩურჩხელები სარის შუა წელზედ შევაგროვეთ და როცა სუთასი ჩურჩხელა ერთ ალაგას შევაგროვეთ, ქალბატონმა დიდი ჯამით ბადაგი შემოიტანა და ზოლზედ დახოქილმა თითო-თითოს ცაღა-ცაღკე ორივ სელით ბადაგი ჩამოუსვა, მერე თეთრი სუფრა შემოახვია ჩურჩხელის გროვას, სუფრას შემოდან დიდი თბილი შალი და ასე შეფუფუნული ჩურჩხელები კარდაკეტილში დავტოვეთ.

— სიფრთხილეს თავი არა სტკივს, სული არავის წასძლიოს, სთქვა ქალბატონმა, „სიღს რომ ზირი ჭქონდეს თავის თავს თითონვე შესჭამდაო“ ნათქვამია.

მესამე დღეს დილით სუფრა შემოვსვენით და თერთად შემაქრული ჩურჩხელები კვლავ გავწივ-გამოვწიეთ სარებზედ და ჯინჯიბახებზედ გავიტანეთ.

ასე შეგვექონდა და გაგვექონდა მთელი ერთი კვირა. ქარი, ღრუბელი გულებს გვიხეთქდა და ყოველ წამს თავს დავტრიალებდით. მერვე დღეს სარებს დაჯამრეთ ჩურჩხელები, ქალბატონმა თავდებები დააჭრა, ჩურჩხელები განანწილა და საოჯახო ნაწილი იმ დიდ წითელ სკივრში ჩაალაგა, რომელსაც თქვენ ეგელანი კარგათ იცნობთ და რომელიც ნოეს კიდობანივით ყოველთვის სავსეა თქვენთვის კაბა-კუკებით.

თქვენთვის გადწეობილი კი ცალცალკე თეთრ ზარკებში ამოკვრება და აი ჩემის სულით გახსნათ. მიიღეთ თვით და შეექცით, ღმერთმა კეთილად შეგარგოთ, ძრავალ რთველს და მოსავლის შეკრებას შეგასწოროთ. სწავლა ძალე დაგასრულებინოთ და ჰირად თქვენ თითონ შეგაძლებინოთ ამ მძიმე, მაგრამ ქართული ოჯახის სამხიარულო და სახალისო, საქმის გაწეობა. სოფელი არ დაგავიწყოთ და მისი საქმე და ჩვეულება გულში ჩაგიმკვიდროთ.“

ასე გაგუხანაო ჩვენმა გაძღვლმა, ბებერმა თინამ, თეთრი, დაძაქრული ჩურჩხელებით ცალკე და ჩურჩხელების მძიმე სამსხდისის მოთხრობით ცალკე.

ექ. გაბაშვილისა.





## ზ ღ ა ჰ ა რ ი

დაწერილი გიორგი წერეთლისაგან სიკვდილის წინეთ,  
1899 წ. ქრისტეშობისთვეში.



ყო ერთი ძლიერი ზღვათახელმწიფე, რომელიც მთელი ქვეყნის ზღვებს და ოკეანებს ფლობდა. მრავალი სძელეთი და კუნძულები ჰქონდა დამორჩილებული და მისი ბრძანება ეგვიპტის გბდი-ოდა, ეგელა ხალხები მას ემორჩილებოდა და მისი ბრძანების უარს ვერავინ ბედავდა. მხოლოდ იყო ერთი დიდი ვუნძული, მთა-გორიანი, შვენიერი წყლებით და ჭალებით მორთული, რომელიც მას ეურჩებოდა. ამ კუნძულის მიწა-წეალი უხვად აძლევდა მცხოვრებლებს სარჩო-საბადებელს და მადნეულობას: ოქროს, ვერცხლს და ძვირფას თვლებს. თუძცა ზაფსული ფიცნი იყო და აუტანელი სიცხე იცოდა, მაგრამ მისი უსარმახარი ტყეები და დიდი მდინარეები ამ სიცხესაც აგრილებდა და ხალხს ჰქონდა სიამ-ტებილი ცხოვრება. ეს ხალხი იყო ძალიან თავისუფლების მოყვარე და ზღვათახელმწიფის ბრძანებას მუდამ ეურჩებოდა.

ზღვათახელმწიფეს თავისი წეს-წეობილება ჰქონდა და რაც სძელეთი და ან კუნძულები ჰქონდა და-

ჭერლი უოველგან ამ თავის წეს-წეობილებას თავსე ახვევდა ხალხებს. ძრავალი იყო ხმელეთისა და კუნძულის ხალხები სულ სსვა-და-სსვა ხასიათების, ჩვეულების, ზნის, სსვა-და-სსვა ენასე მოლანარაკე, რომელთაც ზღვათახელმწიფის წეს-წეობილება არ ეკარებოდა, არ ეფერებოდა, მაგრამ ძალა აღძართს ხნავსო, ზღვათახელმწიფის ემინოდათ და ვერას ბუღავდენ. ამ ნაირათ ეველა ეს ხალხები სსვა-და-სსვა რჯულის, ენის და ზნის ნელ-ნელა იცვლებოდენ, გვარდებოდენ და ეჩვეოდენ ზღვათახელმწიფის წეს-წეობილებას. მარტო ერთი კუნძულის ხალხი იყო თავის წესსე, არაფერს იღებდა ზღვათახელმწიფის კანონისას და თავის კუნძულსე თავისუფლათ ცხოვრებდა. ასეთმა ურჩობამ ზღვათახელმწიფე ძალიან განაწვეენა და შეუთვალა კუნძულელებს შემდეგი მუქარა: თუ ჩემ კანონსე არ გაიარეთ, ეველას აოგ-წევეტთო.

ერთხელ კუნძულელებმა დიდი შრომა გასწიეს და თავის ქვეყანაში ამოაჩინეს ძვირფასი თვლებისა და ოქრო-ვერცხლის მადნები. ზღვათა ხელმწიფემ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მიუსია ჯარები და წაართვა კუნძულელებს მდიდარი მადნები. კუნძულელები ძალიან შეაწუსა აჩ ძალ-მოძრეობამ და ღრმით ჩააფიქრა თავის მოძავალსე.

როდესაც ზღვათახელმწიფის ჯარები მოძორდა ქვეყანას, კუნძულელები დიდი და პატარა შეგროვდენ



და დაიწეეს ფიქრი, რა გვეშველება და როგორ მოვიპოროთ ზღვათახელმწიფეო. მაშინ წამოდგა ერთი მოხუცებული, ეველასე ჭკვიანი და ეველასე გამოცდილი და თქვა: სსვა ღონე არა გვაქვს რა, ჩვენ უნდა გავწიროთ ჩვენც თავი, მოვუძებნოთ ჩვენს ქვეყნის სიძლიდრე და მითი შევიძინოთ საომარი იარაღი, ყოველ დღე ვიპარჯიძოთ ბრძოლისთვის და, როცა კარგათ მოვემსადებით, ეველასური საომარი იარაღი მსათ გვექნება, ჩვენც კარგი გაწვრთნილი ვიქნებით ჩსუბში, მაშინ ზირდაპირ გამოვუცსადლოთ ზღვათახელმწიფეს: არ გვინდა შენი ბატონობაო, ან სულ გავწედეებით ან შენგან თავი უნდა ვისსნათო.

კუნძულელებმა ეველამ მოიწონა ეს რჩევა მოხუცებულისა და დააქენეს ის ქვეყნის ჰატრონათ, ამერიდან კუნძულელები საიდუმლოთ შეუდგენ ომის მსადებანს. რაც ქვეყანასე საუკეთესო იარაღი იყო, ან ზარბასანი, ან თოფი, ან ტეგია-წამალი, ან ცსენები ეველასური თავის ქვეყანაში მოპოვებული სიძლიდრით იეიდეს და თავდარიგით შეინახეს. ამასობაში გავიდ დიდი სანი. ზღვათახელმწიფეს მობესრდა კუნძულელების ურჩობა და განისრასა თავისი აუარება ჯარით ამ ჰაწია სალსსე მისევა, მაგრამ საკვირველი ამბავი მოსდა: კუნძულის სალსმა იფეთქა. რაც მამაკაცი იყო იმ კუნძულსე 70 წლის მოხუცებულიდან მოკიდებული 12 წლის ჰაწია ემასვილამდის, ეველამ თოფ-იარაღი აიღო, ზარბასნები გამოაწეო, თავის

ქვეყნის კარებსე გახვლო თხრილები, ჩაესაფრენ მიუ  
 უოკელნიანი სამხედრო, სამხადისით, ჰურიით, ღვინით,  
 სასმელი წელით, თოფ-სარბასხებით, ტეკია წამლით,  
 გაძაგრეს მთების განსაჯლები, ისე რომ ჩიტიც ვერ  
 გაეზარებოდათ თავის ქვეყანაში და ამ მდგომარეობა-  
 ში ელოდენ მტრის ჯარების მოსვლას. იმათი თოფები  
 ორი ვერსის სიძორესე ჰკლავდა კაცს, იმათი სარბას-  
 ხები ხუთი ვერსის სიძორესე ანგრევდენ ცისე გალავანს.

ცოტა ხანს შემდეგ მოადგა კუნძულის კიდევსე  
 აუარება ცეცხლის გემები და სომალდები სულ ზღვა-  
 თახელმწიფის ჯარით დატვირთული. ჯარი გამოვიდა  
 იმდენი, რომ უთვალავი იყო, მაგრამ კუნძულელები  
 თავის გორებსე თხრილებში ჩამალულები არ შე-  
 შინდენ მას, შეიქნა ბრძოლა; ზღვათახელმწიფის ჯა-  
 რი მიესია გორებსე და უნდოდა კუნძულელები სულ  
 ერთიანათ გაეწვიტა, მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი.  
 კუნძულელებმა მთის წვერებიდან დაუძინეს მათ ყუ-  
 ბარები და თოფები ისე, რომ საშველი აღარ იყო  
 ძირს, მინდვრებსე, ზანტასავით დაეცო ზღვათახელ-  
 მწიფის ჯარი, ამოწედა მათი ცხენები, და მათი სარ-  
 ბასხები, თოფები ტეკია-წამლიანათ სულ კუნძულე-  
 ლებს დარჩათ ეს რომ ზღვათახელმწიფემ გავიო,  
 უფრო გარისხდა და თანდათან უფრო მეტი და მეტი  
 ჯარის გაკზავნა დაიწყო კუნძულელების ამოსაწვე-  
 ტათ, მაგრამ ესენი კიდევ უფრო მხნეთ უხვდებოდენ  
 მათ მიუვალ მთებში და ქლემტდენ ზღვათახელმწიფის  
 ჯარებს. ბოლოს იმდენათ დაახუსტეს ეს საოცარი  
 ქვეყნის მპყრობელი, რომ ზღვათახელმწიფე სვედისა-



კან გადაბრუნდა და მოკვდა... ომი გათავდა და  
გმირი კუნძულები გახდენ თავისუფალნი. თავი-  
სუფლების აღტაცება მოედვა მთელ კუნძულის ხალხს,  
ისინი გაემურენ კუნძულის დედა ქალაქში. ქვეყნის  
ნატრონი მოხუცის სათავეანებლათ, რომელიც მეტი  
სინარულისაგან დასუსტდა და უცებ მიიცვალა. კუნ-  
ძულებმა თავის დედა ქალაქში აუგეს ქვეყნის გმირს  
მოხუცებულს უსარმახარი მეგლი და ხელში დააჭე-  
რიეს თავისუფლების დროშა, ფესით ქვასე ამოა-  
ჭრევენეს შემდეგი ზედ წარწერა: „ქვეყნის გმირს  
უგებს ამ მეგლს მადლიერი შთამოება“.


50664



ბ უ რ ე ბ ი .

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



## ძმისაგან ნაანდერ- ძევი ლურჯა.

„...და ვირს ვუტოვებ ჩემ სავაზრელ ძმას სტუფანეს!“ ამ სიტყვების თქმა კიდევ მოახწრო ჩემმა უძმროსმა ძმამ და სამუდამოთ განუტევა სული.

ჩემი ძმის გარდაცვალების ამბავი ერთი დღის შემდეგ შევიტყე. მეორე დღეს უველანათესავეები შევიკრიბეთ და საბრალო ჩემი ძმა დავასაფლავეთ. მესამე დღეს კი განსვენებულის სურვილი სისრულეში მოიყვანეს და პოლტივით ევლქოდერებული ლურჯი ვირი ჩამბარეს. სინარულით ფესხედ არ ვიდექი, რომ განსვენებულმა ჩემმა ძმამ სიკვდილის ჟამს ძეც მომიგონა და სულ უნუგემოთ არ დამტოვა. ვადაუწვიტე, რომ განსვენებულის სსოვნა მუდამ გულში სატათ და ჯვარად მეტარებინა.

„დღეიდან, ჩემო სავაზრელო მეგობარო, მე და შენ ერთმანერთს ვეკუთვნით!“ ვუთხარი ჩემს ლურჯას და გრძელი თოკი კისერზედ ჩამოვადი. ლურჯამ ყურების ცქვეტით კისერი ალერსიანათ გამომიძვირა და თოკი ძაგრად მოუძარჯვე. გამოვესალმე ნაცნობსა და ნათესავეს, ჩემი ლურჯა წინ გავიგდე და ზილიანთ ვარძი გავემკსავრე. სწორეთ ექვსი საათის სა.



ხიარულო ვსა იქნებოდა ამ ჩემს სოფლამდის. აბა, რას იფიქრებდა ჩემი ლურჯა, როცა ჩემს ღარბბად მოწეობილ ქოსს დაინახავდა!.. ჭეშმარიტად, რომ ღარბბად მოწეობილი ქოსი შედგა, მაგრამ ამ ღარბიბი ქოსის ჰატრონი ხომ კეთილი და კარგი კაცი იყო! დიას, სწორეთ ამით ვინუკეშებდი თავს.

ჩემი ლურჯა ჰირველ დანახვისათანავე შემეყვარდა და ეს სიყვარული თანდათან მიძლიერდებოდა.

წინარად და მშვიდობიანაჲ მივემკზავრებოდით ჩემს სოფლისაკენ. ვსაში ერთს მდინარეს მიუახლოვდით, რომლის მეორე ნაპირას გადასასვლელად სიდი იყო გადებული. დაინახა ლურჯამ ეს სიდი თუ არა, ერთბაშად შეჩერდა და თავს რაღაც ბრძნულად აკანტურებდა. მე მაშინათვე მივხვდი, რომ ის არ აპირებდა სიდიზე გასვლას. ლურჯა ადგილიდან არ იძროდა და თავის კანტურით თითქო მუეზნებოდა:

„არა, ჩემო მეგობარო, ამ სიდიზე მე არაფრის გულისათვის არ ვაპა!“

მოუარე ლურჯას წინიდან, მოკვიდე კისერზედ ჩამობმულ თოკს სელი, მაგრად გავითრიე სიდიასკენ, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ლურჯამ უკანა ფეხების ტლინკები ძაღლად ჭაერში შეისროლა და ადგილიდან ერთი ნაბიჯიც ვერ გადავადგეკვინე.

სწორეთ იმ დროს, როცა ასეთს ვაჭივრებაში ვარ, მდინარის ნაპირას ძთელი გროვა მოწაფეებისა მოადგა. ბავშვებმა ერთი დაუსრულელებელი კიყინა და

საწინააღმდეგო ასტეხეს, როცა მე და ჩემი ლურჯა ასეთ სასაცილო მდგომარეობაში დაგვინახეს მე სირცხვილისაგან ვიწოდდი, მარცხენა ხელით ჰირის სახეს ვიფარებდი, მარჯვენათი კი ლურჯას სიდიხაგან ვეწიკებოდი. მოწაფეებმა წვრილი წკნელები დაუძინეს გავაზედ ჩემს ბედაურს, მაგრამ ჩვენი ბრძენი ცხოველი წინ წასვლის მაგივრად უკანა ფეხებს ღონივრად ძაღლად ჰვარში ისროდა და ისროდა. ბავშვები ამ სანახაობით სიცილით უფრო და უფრო იფხრიწებოდნენ.

ამ დროს სიღთან ჩამოიარეს სამძა კაცმა, რომელნიც ცულებით შეშის მოსაჭრელათ ტყეში მიემგზავრებოდნენ.

„ძობილო!“ მითხრა ერთ-ერთ მათგანმა, „თუ გინდა, რომ ვირი მეორე ნაპირას გაიყვანო, ხელში უნდა აიყვანო და ისე ხელაკრეფით გადაიტანო სიღსედ! თუ ვირმა თავის ნებით არ მოიგუნება იგი ძაღდატანებით არაფრის გულისათვის სიღსედ არ გაივლის და ვერცერთს ვირს ძაღლით ვერ აიძულებ და სიღსედ ვერ გაიყვან!“

ტანსედ სირცხვილისაგან კანი მასქდებოდა, რომ მე, ვირის ჰატრონს, ვიღაც უცხო ჰირები მასწავლიდნენ ვირის ხასიათსა და სწე-ჩვეულებას. სირცხვილით თავი ხემათ ვერ ავიღე და ჩემთვის ვასაგონის სმით ვბუტბუტებდი: „ღმერთო ჩემო! ამ სიძმიე ვირი ხელაკრეფით როგორღა გადავიტანო ესეთ თვალუწვდენელ სიღსე!“





ძმისაგან ნაანდერძევი ლურჯა

ამ სიტყვების გათავებაც ვერ მოვასწარი, შეშის მწრელებმა სტაცეს ხელები ფეხებში ჩემს ლურჯას, ციმციმად ჰბერში ასწიეს, ჰირბელმა გადაატრიალეს და წუნარბად გადაიკვანეს ჩემი ლურჯა სიღსედა, ძეორე ნაპირას.

ლურჯამ ძეტის კმაყოფილებით თავი ბრძნულად რამდენჯერმე ძირს ჩაიქნია და გამალებით თავის კზას გაუდგა. შეშის მწრელები ტუნისაკენ გაემურნენ და დიდხანს კიდევ შორიდან მოძესმოდნა მათი სიცილი და ხარხარი.

ლურჯამ მართლა რომ ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და სწორეთ ამიტომ კიდევ უფრო შემიყვარდა იგი, კიდევ უფრო ძეტი ჰატვიის ცემა დაიძახურა მან ჩემგან.

აი, საცაა ძეორე სიღსედა უნდა გავსულიყავით. გზაში სულ იმახედ ვფიქრობდი, რომ ჩემი ლურჯა კიდევ არ გამჯიუტებოდა. მარლილი და ჰური თან მქონდა. მაგრამ რომ ვერც ამით ვერას გაუმხდარიყავ! მარლილითა და ჰურით რომ ვერ მოძესვიდნა ჩემი ლურჯა! ამიტომ უოველ შემთხვევისათვის არეის სიდან ჩამოვჭერი გრძელი შოლტი. ლურჯამ სრულიად გულგრილად შემოხედა ამ არეის გრძელ შოლტს.

აკერ კიდევაც მივედით მდინარესთან. მდინარის მხლობლად ერთი კაციც არ ჭაჭანებდა, ჩემი ლურჯა რომ სიღსედა ხელაკრეფით გადაეყვანათ ან ვისმეს სიცილი და ხარხარი აეტეხნა.

„სედავ, ჩემო ლურჯავ, აბა ახლა ვნახოთ, ვინ ვის დასძლევეს, ვინ ვის დაუთმობს!“

მე ახლა ღრმად დარწმუნებულს ვიყავი, რომ სიღს ისე გავივლიდით, თითქო შარა გზის გზატკეცილიაო. მაგრამ ლურჯამ, შედგა ფეხი თუ არა სიღსედ, ერთბაშად გაჩერდა. დაუკონებელივ ამოვიღე მარლი და ჰური, მივაწოდე ჩემს ლურჯას, მინდოდა მომესყიდნა, მეორე ნაპირას გამეტყუებინა. მაგრამ ვერას გავხდი, ლურჯა სრულებით დამშვიდებით სჭამდა ჰურსა და მარლს, ხოლო ადგილიდან კი არ იძროდა. მაშინ წამოვაგლე სელი ჩემს არეის მოლტს და ერთი ლახათიანათ გადაუჭირე ჩემს ლურჯას სურკსედ. პირველ მოლტის გადაკვრასე ლურჯა ცოტათი შეტორტმანდა, ხოლო როცა მოლტი მეორეთ შევთავასე, ლურჯამ ნირიც კი არ შეიშალა, იგი ლურსმანივით დაერჭო ერთსა და იმავე ადგილას და ფეხს არ იცვლიდა.

„როგორ ფიქრობ?“, შევეკითხე ლურჯას: „მე და შენ ასე უნდა ვიყოთ გაჩერებული, სანამ ეს მდინარე არ დაშრება?“ ჩემმა ბედაურმა თითქო თანხმობის ნიშნათ თავა რამდენჯერმე ძირს ჩაიქნია.

„მაშ ასე, ჩემო კარგო მეგობარო! მომიტმინე, მაშ ახლა მე ვიცი თუ რა გეკადრება შენ!“

ამ სიტყვებთან ერთად შემოუარე უკანიდან ჩემს ლურჯას და რაიცა ძალი და ღონე მქონდა გადაუჭირე და გადაუჭირე ლურჯას მოლტი სურკსედ. ვირმა



ჯერ უკანა ფეხების ტლინკები ზემოთ რამდენჯერმე შეჭყარა, შემდეგ დაკვირვებით გადასვდა მდინარეს, ელვის სისწრაფით გადაეშვა წყლის სიღრმეში და სრულებით უვნებლად გასცურა მეორე ნაპირას.

როცა ჩვენს ბედაურს წებლი ტანზედ შეაძრა, მან ეშმაკურად გადმომხელა, თითქო მეუბნებოდა:

„მაშ როგორ გეგონა, განა მე წებლს შეუშინდებოდი! უნდა იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ მე სიღრმედ ფეხსაც არ შევადგამ! ეს ჩემი შეურევეელი რწმენაა და ამ ჩემს რწმენას თავისდღეშიაც არ ვუღალბებ!“

„მაშ რაკი ეგრეა, არც მე უღალბებ ჩემს რწმენას და წებლში ფეხს ოდნავაც არ დაგისველებ!“

ამ სიტყვებთან ერთად სიღრმედ დინჯად გავედი და ჩემს ლურჯას მიუახლოვდი. ცოტათი მოუახლოვრსე და ისევ გზას გაუდექით. ლურჯა პირველად ძმივე ნაბიჯით მიდიოდა და სოლო აქა-იქ გზის პირას წაჭკურავდა ბალახს პირს. ერთ ადგილას, საცა მეტად მადლი და ნოყიერი ბალახი იყო ირგვლივ მოდებულნი, ერთბაშად შეჩერდა და არსყინად შეექცეოდა ნოყიერს ბალახს.

მრავალი ვებლერსე, კიდევაც გაუჯავრდი, დაუტუქსე, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემს ბედაურს ერთი ნაბიჯიც ვერ გადავადგმევინე.

„ღმერთო ჩემო! ეს რა ხათაბალა ვირი გამოხდგა!“ ვუიქრობდი ჩემს გულში და სიმწრისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი.

ამ დროს მოძიანლოვდა ერთი მეცხვარე, რომელიც ძანლობლად ცხვრის ფარას ამოვებდა და მითხრა: „აბა, რას ეწვალვები, ძმობილო! სხანს, შენ ვირის ხასიათი ჯერ კიდევ ვერ გაგიგია! ვირი ისეთი ჯიუტი და თავისნება ცხოველია, რომ ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს, თუ ნამდვილად დარწმუნებული არ არის, სად ან რისთვის უნდა გადადგას ეს ნაბიჯი. მე ისე მოგიწეო საქმე, რომ შენი „ბედაური ერთ წამსაც არ შეჩერდეს გზაში, უკან არ მოიხედოს, ისე მოჰკურცხლოს შინისაკენ!“

მეცხვარემ აიღო ერთი შეკვრა თივა, გადააბა იგი მოგრძო ჯონის თავსედ და შემდეგ ეს ჯონი ძაგრად თოკით ძიაკრა ლურჯას ეურების თავსედ. ჯონსედ ჩამოკიდებული თივა მეცხვარემ ისე მოამარჯვა, რომ ვირი მუდამ თვალწინ ხედავდა თივას, სოლო მისი ზირით ჩამოგლეჯას კი ვერ ახერხებდა.

„ამის შემდეგ არსეინათ ივავი! შენი ლურჯა უკანაც არ მოიხედავს, ისე გაჰკურცხლავს შინისაკენ!“ დაბეჯითებით მითხრა მეცხვარემ და იქვე თავის ცხვრის ფარას მიუბრუნდა.

ძართლაც, ვირმა თივის ალერსით მოჰკურცხლა. ძირბის ჩემი ბედაური იმ იმედით, რომ საცაა გემრიელ თივას ზირს წავკრავ და ჩამოგლეჯო, ძაგრამ, თქვენც არ მოძიკვდეთ, ვირი ზემოთ ზირს ახწევს თივის ჩამოსაკლეჯად, თავსედ ჯონით ძიკრული თივაც ზემოთ იწევა და ჰხერძი ზროწიალობს. ვერ იქ



ნა და ვერ მისწვდა ჩემი ლურჯა ნოეიერსა და გემ-  
ბრიელს თივას.

გზაში მეტად დაცხა. გავისადე სასაფხულო სემო  
ჩასაცმელი და ვირს ზურგზედ გადავკიდე. ჩემი ლურ-  
ჯა გამალებით მირბის და მირბის, მაგრამ თივას ძა-  
ნც ვერ სწვდება. ბოლოს ლურჯამ ისე აუჩქარა ნა-  
ბიჯი, რომ მისი უკან მიყოლება ვერ შეუძელი და  
კიდევაც ჩამოვრჩი. ლურჯამ ელვის სისწრაფით გა-  
დირბინა ტრიალი მინდორი და სიირსა და დაბუ-  
რელს ტყეში შევარდა.

დაღლილი და დაქანცული ძლივსაღა მივაღწიე იმ  
ადგილას, საცა ჩემი ლურჯა ტყეს ამოეფარა აქეთ  
მივდგე, იქით მივდგე, მაგრამ ჩემი ლურჯა არსად  
სჩანდა. ნახუქარბი ვირის დაკარგვას კიდევ გაუძლებ-  
დი, მაგრამ ჩასაცმელი რომ დავკარგე, ეს კი ლოდო-  
ვით გულზედ მაწვა და მოსვენებას არ მაძლევდა! მის  
ჯიბეში მქონდა შენახული მთელი ჩემი ავლადადება,  
ვევლა ის ფული, რომელიც ასე წვითა და დაგვით  
მქონდა შექენილი! დავტრიალებდი გიჟისავით ტყესა  
და ღრეში, მთლად ერთიანად დავიკაწრე ჰირის სახე,  
ტანთსაცმელი ერთიანად შემოძეფულითა, მაგრამ ჩემი  
ლურჯა კი არსად სჩანდა. „ემმაკა წაიღოს შენი თა-  
ვი და ტანი!“ გაბრახებული ვწეველიდი ლურჯას  
და ქუდ მოგლეჯილი დაუძწოდი ტყეში.

ბოლოს მივადგე ტყის ერთს მივარდნილ ადგი-  
ლას. ჩემი ლურჯა დინჯათ გაჩერებულიყო და არსე-

ინათ შეექცევოდან თივანს, რომელიც ტყეში კუნტრუმის დროს თავიდან ჩამოიგლიჯა.

სახქაროთ ვსტაცე სელი კისერსედ ჩამობმულ თოკს და მაგრად დავიჭირე სელში. ჩასაცემელი მის ზურგიდან გადმოვიღე და გაბრახებით გამოვეკამათე ჩემს ლურჯას:

„აბა, ჩემო მეგობარო, განა შენ ღირსი არა ხარ ერთი ლახთიანად შოლტი გადავიჭირო! მაგრამ ცუდით კი რა გამოდნება! მართლა რომ დაწვევლილი რამ ცხოველი ეოფილხარ! ზატვიცემით გეპერობოდი, სრულებითაც არა მსურდა ჩვენი გაცნობის პირველ დღესავე შეგვენებინა შენთვის შენი პირდაპირი დანიშნულება და კიდევაც ამიტომ ფესდაფეს უკან მოგდევდი! მაგრამ, განა ეს შენ დააფასე! აბა, კარგად ჩაუფიქრდი! მოიგონე ვეკლანფერი!.. განა ამის შემდეგ შესაძლოა ჩვენ შორის მეგობრული კავშირი! არა და არა. ჩვენ შორის ამიერიდან სამუდამოდ ჩატენილია მეგობრობის სიდი!“

ამ სიტყვებთან ერთად მსწრაფლად წამოვანტი ჩემს ლურჯას ზურგსედ და რაც ძალი და ღონე მქონდა დაუშინე ფერდებში ქუსლები. ლურჯამ ერთი მოუსეძავად ჩაიხნიქა წელში, მერე ერთბაშად ეურება მადლად სცქვიტა და თოხარკით გაუღვა გზას. მარულახსავით მიჭქროლავდა ჩემი ლურჯა, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არ იცქირებოდა, გზის პირად წელამდის მოღერებულ ბალახსაც არ ერჩოდა ერთ წამსაც



არსად არ შეჩერებულა, ისე მიჰქროლავდა და მიჰქროლავდა. მიუადექით ერთს მეტად ჭაობიანს ადგილას, ლურჯამ მარდათ გასტოპა ეს ჭაობიანი ადგილი, ცოტათი შეძდეგ მიუახლოვდით მდინარესედ გადადებულს გრძელს სიდას, ლურჯა ოდნავაც არ შეჩერებულა, ელვის სისწრაფით გადირბინა ეს თვალუწვდენელი სიდი, თითქო ქვით მოფენილი გზა-ტყევილიაო.

მსე კიდევ მალლათ იდგა, როცა მე ზიდლიანთ კარს მშვიდობიანათ მივადწიე. მარულასავით შევაჯირითე ჩემი ლურჯა ესოა ალბაფის კარებში (ჭიმკარში), სახლის დერეფანთან ჩამოვსტი და იქვე შესედ მიუკარ მავრათ თავი.

„ახლა, მშვიდობით, ჩემო ლურჯა!“ გამოვესალა მე ჩემს მეგობარს, როცა სახლის დერეფანში შევდიოდი. „სხანს, ჩემო საყვარელო მეგობარო, ვადამეტებული და შეუფერებელი ჰატვიცემის ძაფებლობა თქვენ ვირებსაც კარგათ გცოდნიათ! მართლაც, რომ ეს შენ გვარს არა ჰქონოდა კარგად შეგნებული, მე და შენ ახლა ვინ იცის, სად ვიქნებოდით!“...

(გერმანულით)

ა. მიქაბერიძე.



## ჭიაუელა და წერო.

(გერმანული).



ველ სასლს ერტვა გარშემო მშვენიერი დაბურული ბაღი. ეს სასლი ჩაღით იყო გადაუენილი, კედლები სურათი იყო შემოსილი. სურო ძალავდა ფანჯრებს და მის შექები ოთახებში არ შედიოდა.

ეს არავის არ უშლიდა, რადგანაც სასლში არავინ არ ცხოვრობდა. წინეთ ამ სასლში ცხოვრობდა მოძღვარი, მაგრამ ცოლის და შვილების სიკვდილის შემდეგ იმანაც მიატოვა სასლი, და მას აქეთ დაობლდა ეს სასლი, არავის არ უნდოდა შიგ დადგომა.

კედლები დახავსდენ, დაბლა სართული წელთ აივსო, იატაკი ჩანგრა. ბაღში ხეები ვადაშენდენ, გზები და კვლები ბალახმა დაფარა.

ბაღის გადღმა მინდორში დადიოდა ნახირი; საღამოობით ისმოდა ბაყაყების ყიყინი.

მოვიდოდენ მუშები და თიბავდენ მინდორს; მიჰქონდით თივა. მერე შემოდგომა დადგებოდა, ქარი დაჭებრავდა; გაუკითლებული ფოთლები, თითქოს დარდისაგან, რომ საფსული გავიდა ცვიოდენ მიწასუ. შემოდგომას სამთარიც მოუსწრობდა და თეთრი სუდარა გადაეფარებოდა ძველ სასლსაც, დავიწყებულ



ბაღსაც, მინდვრებსაც. ზამთარსაც ბოლო მოყლებოდა, თოვლი გადნებოდა, აყვავდებოდა მინდვრები და მოფრინდებოდა თ ილი ქვეყნიდან წეროც.

მისი ბუდე სახლის თავზე იყო, ყოველ ზაფხულს ის იქ ბრუნდებოდა. ნოტიობა მას არ აწუხებდა, თავისი ბინა წეროს მეტათ მოსწონდა. მთელი სახლის ჰატრონი ძარტო იგი იყო; ბაყაუებიც ძრავალი ჭეხვდა ახლო, სულ ახლო. წეროს კარგად ესმოდა რა გაძონადეგი და კარგი ადგილი უჭირავს მას და როგორც კი გასაფხულდებოდა აქეთკენ გამოსწევდა, შიშით სსვამ ვინმემ არ გამოხწროსო.

ერთ დღეს წერო დაბრუნდა სახლში ძლიერ კარგ გუნებაზე და მიწეხიც ჭქონდა რისთვისაც იყო ასე კარგ გუნებაზე—სუთი ბაყაუი მოჭქონდა ცოლ-ძვილისათვის სადილათ. თვითონაც კარგად ისა-დილა—ორი ბაყაუი მიირთვა და ნახევარი გველი დაატანა. მეორე ნახევარი ნისკარტით ცოლ-ძვილთან წამოიღო.

ბაღსე რა მოდიოდა უცებ შეჩერდა, გზასე დაინახა დიდი წვიმის ჭია.

— შენ, როგორც ვსედავ, სრულებით არ გემინია ჩემი, ჭკითხა წერომ.

— როგორ არა, შენი ჭირიძე, მეძინია კი არა მეტიც მეძარტება, მაგრამ მე ვერ ვსედავ ვინა ბრძანდები, ბრძა ვარ. მე თქვენი ფეხის სძა გავიგე და იმ ზოძამდე შემეძინდა, რომ გზა დამებნა და ჩემ სვრელს ველარ მივაგენ.

წეროს იაძა ეს სიტყვები.

— შე ვარ წერო, სთქვა მან სიამაყით.

— ო, ღმერთო დიდებულო, დაიკვნესა ჭიამ. მე თქვენ გიცნობთ, დიდებულო, თქვენ დანახვაზე ბავაყებს შიშის წარი ეძარტებათ, გველეები სწრაფად იმალება, და ჭიები ხომ ათასობით გვეოლებს შეჭმული.

— მბგეც უოფილა, არ მინდა თორემ შენც გადაგულაზავდი—ძლიერ გაუძენი.

ჭია ამ დროს ცოტა განზე გაცოცდა, წერომ ეს დანახვა და ჩაუკაკუნა თავისი გრძელი ნისკარტი.

— საით, საით მიიზარები?

— ვაბიე, ვაბიე, უკაცრავად, მეჩქარება, ათასი ხაქმე ძელის სასლში და თანაც მეშინია თავი არ მოგაბეზროთ.

— სამთრობით სად მიდიხარ, დაეკითხა წერო.

— არსად, დიდებულო, აქ ვრჩები, სორომი ღრმად ჩავუძრები და გასაფხულს ველი.

ამ დროს დედა-წერომ დაუძახა, წერო წავიდა. ჭიაყელასაც ეს უნდოდა და სიჩქარით გაცოცდა სოროსაკენ.

რამდენიმე დღის შემდეგ წერო დასეირნობდა ბაღში.

— ჭიაყელავ, გამოდდი, მინდა გელაზარაკო.

ზასუსი არ ისმოდა.

— გამოდდი, გესმის?

— მეშინია, ბატონო. ამ სიტყვებით ჭიაყელა გამოძვრბ სოროდან.



— როგორ გაბედე და არ გაძოდი, როგორც კი დაგიძახე? განა დაგავიწყდა ვინა ვარ? მომწეინდა, მიაძბე რამე.

— რა მოგახსენო ისეთი, რომ თქვენ გაიძოს... არ ვიცი... მე ვმუშაობ, მუდამ ვმუშაობ, ვთხრი მიწას, ვაკეთებ ჰატარ-ჰატარს თხრილებს.

— ეს კარგია, რუებში სომ ბევრი ბაყაუებია?

— არა, დიდებულა, რუების გათხრა აბა მე სად შემიძლია, მე მიწას ვთხრი, რომ კარგად აძოვიდეს ბალსი და ევაჟილები, სეები. მე ვამზადებ იმ შავს, ნოყიერს მიწას, რომელზედაც ისე კარგად ძოდის ფოველგვარი მცენარეები.

— როგორ, როგორ ამზადებ ასეთ მიწას? მითხარი ერთი, დაცინვით დაეკითხა წერო.

— სიღრმიდან ამომაქვს მიწა, ამ მიწას ვტოვებ ძაღლს; ზევიდან მე ჩამაქვს ამ სიღრმეში სხვა მიწა, ამ რიგათ ურევ მიწას, ურევ სანამ სულ არ გავარბილებ და არ ავრევ არჩეულ ადგილს. გინახავთ თქვენ გასორსოლებული ფოთოლი, თითქოს მიწაში ჩარჭობილი? ესეც ჩემი საქმეა. მე ღამე, როდესაც ვერაჟინ სელს ვერ შემიძლის, ვაკეთებ ამას—გავასვევ ფოთოლს, და ნელა-ნელა ჩავითრევ მიწაში, იქ ვწევ და ვწევ სიღრმეში, სანამ სულ არ ჩავიტან, მერმე იქ, სიღრმეში და სიბნელებში ნოყიერ, მსუქან მიწათ ვაქცევ.

— მენ მე ცნობის-მოყვარეობა გაძიღვიძე, ჭიაჟ, მითხარ კიდევ, განაგრძე.

— ო, რა კეთილი ბრძანდებით, განა ვეკლავ თქვენისთანა; აბა, ვინ იცის, რა ვართ, რას ვაკეთებთ, ვეკლავ ჩვენ გვდევნის, გვსრესს, ვეკლავ სასიზღარს გვეძახის, ჰატარა ბიჭები ანკესებზე გვარჭობენ... საფსულის საღამოთი მივფარს მე მიწასზე ნელ-ნელა ცოცვავ, ფოთლებს ვირჩევ, მერმე ღამით ამ ფოთლებს მიწაში ჩავითრევ, განა ვეკლავს ესმის რა სარგებლობა მოგვაქვს; აი ამ სახლის ჰატრონი, ძღვედელი, ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ისე აძაგებდა ჩვენ თავს თავის შვილებს. ერთხელ ეძაწვილბა ფენი დაახიჯა ჭიას, და მამა გაუჯავრდა: შვილო, ერთდუ მავას, მავ სასიზღარ ქმნილებასო; მაგეს ღუთის გახენილი არისო. ეს მართალია, მაგრამ რათ არ აუხსნა შვილს, რა სარგებლობა მოგვაქვს, საჭირო ვართ თუ არა ადამიანისათვის და მცენარეუებისათვის.

— დიდებულო, მოახსენე ერთი ქვეყანას, აუხსენსუეკლავს, რუ გვდევნით, შენ ხომ ბეჯრი რამ შეგიძლია, შევედრა ჭიაეულა. და მე ვეცდები გადაგიხადო სამაგიერო.

— ო, რა დიდი აწრისა ბრძანდები შენ თავზე, ჭიაეულავ, რითი შეგიძლია შემსასურო მე, დიდებულ წეროს?

— არა, ბატონო, არა, აბა სად მე და სად თქვენ, მე მსოლოდ მინდოდა შეთქვა, რომ თქვენ მოგელით სიუბათი და იქონიეთ ეს მხედველობაში.

— მე მელის სიუბათი, ო, ეს ტყუილია, შენ განა



არ იცი, რომ კანონის ძალით დაისჯება ის, ვინც წეროს ხელს ახლებს, დაგაუიწედა განა?

— დაძიგდეთ ეური, დიდებულო, ჩვენ ხომ მიწასა ვთხროთ და რადგანაც ბევრნი ვართ მოელი ეს ბაღი კათხროლი გვაქვს ქვევიდან...

— მერძე რაო?

— ჩვენ ავთხარეთ ის მიწაც, რომელზედაც ეს სახლი დგას, და სულ მოკლე ხანში სახლი დაიქცევა.

— ხა, ხა, ხა, გაიცინა წერომ.

— ნუ იცინი, დიდებულო, ჩვენ ათი-ათასობით ვართ აქ, ჩვენი მიხეზით ხშირად ინგრევა კედლები, სახლი ჩაიქცევა ხოლმე. ამ სახლსაც ეს მოელის.

მაგრამ წერო იცინოდა და იცინოდა. ჭიაუელამ დრო იდროვა და ჩაძვრა სოროში. წერო კი წავიდა და უამბო ყოველისფერი ცოლს. ამანაც უჩჩია, ერთი რო ნახო ის ვბედი, გადაელაპეო, სისუელელეს რათ როძავსო.

გავიდა ერთი კვირა. წეროს არ უნახავს ჭიაუელა.

მშენიერი ზაფხულის საღამო იყო. წერო და მისი ცოლი ბუდესთან ისხდენ და შვილებს შესცქეროდენ.

— რა კარგად იზრდებიან, სთქვა დედამ.

— დროც არის. საჭმლის შოვნა გამხელდა, დღეს მარტო ერთი ბაყაყი დავიჭირე, შემხვდეს ერთი ჭიაუელა—მე მას ვუჩვენებ...

— რა ამბავია, თითქოს სახლი შეინძრა, სიქვა დედა წეროდ

— რას... დაიწყო წეროდ, მაგრამ სანამ ის გაათავებდა, საშინელის სმაურობით სახლი ჩაინგრა. დედამ-მამალი წერო კი აფრინდენ ძაღლს.

ასლს სახლის ადგილას ევარა ძველი ფიცრები და აგურები.

— შვილებო, შვილებო, საცოდავით გაიმასოდენ დედა-მამა.

ამათ, სახლის ნანგრევებში დაიღუპენ ასალ-გასრდა წეროები.

უცებ წეროს მოაკონდა ჭიაუელას გაფრთხილება.

— განა ძეგონა, რომ მართალი გამოდგებოდა. წავიდეთ. მოვნახოთ, მაგ სასიზღრების ბრალია ჩვენი შვილების დაღუპვა.

ბეერი უძახეს, ბეერი, მაგრამ ჭიაუელამ არ გასცა სმა, ბოლოს დადონებულებმა დასტოვეს ეს ადგილი და გადიღუპენ შორს, შორს.

ა. ფ.





## შ ა შ გ ი.

ხომ ხედავთ ველარა ვგალობ,  
ან კი რა ზეგალობება!  
საცა არ გინდათ ქორს ვხედავ,  
ყველგან წინ გადმელობება.

---

გზას აღარსაით არ მაძლევს,  
რომ ჩემთვის გავინავარდო,  
შევაქო ტკბილის გალობით  
საიაო და საეარდო.

---

თვალთ აღარსაით მაშორებს  
ვერნებს და გასატიალებს,  
და მუცელ აქოთებული  
ჩემს გარეშემო ტრიალებს.

---

უნდა მიპოვნოს მიზეზი  
გულ-ღვარძლიანმა ძალათა,  
ან რამე უნდა დამწამოს,  
ან რამე დამდოს ბრალათა,

---

რომ ერთ-ერთია შაინცა  
საშაროდ გამოდგებოდეს,  
მივლევდეს შვილების ხორცსა  
და ჩემის სისხლით ძღებოდეს.

---

გარდა ამისა, იცით თქვენ  
ჩემი ქირი და ვარამი?  
თუ რამ მაქვს ყველა გამხდარა  
ჩემთვის შხამი და არამი!

---



ყველა ზედ წამომესია  
 ბუ, ქოტი, ყვაფი ყვანჩაღა,  
 სუყველა სოფლის საწყარი:  
 ყრუ, ბრმა, კოჭლი და ჩანჩაღა.

—  
 მიაქვთ და მიაქვთ ხელობით  
 სარჩოს მთლად ეზიდებიან,  
 მაინც ვერ ძღება მათ გული  
 კვლავ უმადურნი რჩებიან.

—  
 და ნეტა რისთვის, ვიცოდე,  
 ეს მაინც გამაგებინა,  
 ნუ თუ მან ჩმალი ქარქაშში  
 ამისთვის ჩამაგებინა?!...

—  
 ქორო, ა ქორო თვალ-ქრელო,  
 აუტანიხარ წერასა,  
 ერთხელ შენც ჩაუვარდები  
 მიმინოსა და ძერასა.

—  
 მაგ შენი საწყარ კუტებით  
 გულს სისხლი დაგედინება,  
 ახლა თუ ჩემზე ხარხარებ,  
 მაშინ მე გამეცინება.

შ. მღვიმელი.





## „ბიზუნ-ღეიზინ“

ამბავი საზნეული ბავშვისა, რომელმაც მთინდომი ჰარკელი ვაჭარა  
გამხდარიყო იაზნინაში.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

### III. გადაბრუნებული ნავი. — დაღუპვასთან ახლო.



უნკიჩის ჭკვიანურმა სჯამ და მამაცობამ აღ-  
ტაცებაში მოიყვანა დაივოკუის ვაჭარი.  
მაშინათვე გაექანა მეფთეექესთან გესლია-  
ნი ბალახების საყიდველად და ამასთანავე  
ბიჭებსაც უბრძანა — ჩალის საფთხულეების  
საჩქაროთ მომზადება.

ამ დროს ბუნკიჩი და სადაკიჩი სომი-  
ვოშის ციცაბიდან კიდევაც დაბრუნებუ-  
ლიყვნენ. ვაჭარმა იგინი თავის ოთახში  
შეიწვია და უთხრა:

— რა ჰქენი, ბუნკიჩ? ნახე, თუ არა  
ვანიზამი?

— დიახ, ვნახე, მიუვო ბუნკიჩიმ.

— ახლა კი, უეჭველია, ამ საოცრების ნახვის შემდეგ,  
გადიფიქრებდით მასთან ბრძოლას?

— პირიქით, უპასუხა ჭაბუკმა, ახლა უფრო ძლიერ მო-  
მინდა იმასთან შებრძოლება.

— თქვენის მხრივ განა ეს ჯიუტობა არ არის?

— სრულიადაც არა, უპასუხა ბუნკიჩიმ. ამ ლაპარაკის დროს მან თავი მალლა აიღო და გაბედულათ დაუწყო ვაქარს ცქერა. — რამდენიც ძლიერია მოწინააღმდეგე, იმდენათ მეტს ძალასა ვგრძნობ და დიდს ინტერესსაცა ვხედავ ამ შებრძოლებაში. მე გადაწყვეტილი მაქვს ჩემი განძრახვა სისრულეში მოვიყვანო, რომ ვიცოდე კიდევ, რომ ეს ბრძოლა სიკვდილს მომასწავებს. მე კარგათა მაქვს შესწავლილი ის ადგილი, სადაც იგი გამოჩნდება ხოლმე, ეს ის ადგილია, ზღვის ნაფლეთან ახლო, სადაც უშველებელი ფიჭვი ამართულია. ამ ხიდან რომ მსხვილ თოკს ვინმე ჩამოუშვებდეს, მე მასთან ადვილათ მივატურებ ნავს, როგორც იქნება მოვიტყუებ ნათელთევზასა და გადავაცლავინებ ჩაღის საფთხულს. თუ ვინიცობაა ნავს გადამიბრუნებს, თოკს ადვილად მოვკიდებ ხელსა და ასე ავცოცდები, და ან კიდევ ვინმე ამწევს ზევით.

ყმაწვილის ამგვარი გამჭირახობით და მამაცობით კიდევ უფრო გაკვირვებულმა ვაქარმა უთხრა:

— თქვენი აზრი ჩინებულა. მგონი რომ აგრე ამჯობინებს, რომ საქმე მოვაწყოთ: მე რამდენიმე ახალგაზდა მოსამსახურეს გავგზავნი სომიფოშის კონცხთან და თქვენი, მინამდის ნავში ჩაჯდებოდეთ, თოკი მაგრა შემოიჭირეთ ტანზედ, მე რამდენიმე კაცით კონცხზე ვიდგები და, თუ ვინიცობაა, ნათელთევზასაგან (ვანიზამისაგან) განსაცდელში ჩავარდით, მაშინვე ზევით ამოგწევთ. მგონი რომ ასე ემჯობინება, ჩემო კარგო?

— სწორეთ აგრე უნდა მოვიქცეთ, უპასუხა ყმაწვილმა.

— უხამი უკვე ნაყილია და საფთხულებიც მალე იქნებიან მზათ. როდის გინდათ საქმე დაიწყოთ?

— ახლავე, ამ წუთში, — უპასუხა ბუნკიჩიმ.

— არც აგრე უნდა აჩქარდეთ. ის არა სჯობია ხვალამდის მოიცადოთ, უთხრა ვაქარმა.

— ვინემ თორნე ცხელია, ჰურს გამოცხობა უნდა: თუ ამისთანა საქმეს მალე არ მიეხედავთ, შეიძლება ხელი რამემ შეგვიშალოს და გეგმა სრულიათ ჩაგვეფუშოს. ამიტომ მე მინდა ეს საქმე ადვილათა და დამშვიდებით მოვაწყო, როგორც უბრალო რამ ჩვეულებრივი საქმე, უპასუხა ყმაწვილმა.



— თქვენ ისე ადვილათ ვერ შეასრულებთ მაგ საქმეს, როგორც თქვენა გგონიათ, — უპასუხა ვაჭარმა.

ცოლმაც მოისმინა რა ყოველივე ნალაპარაკევი გულამოსკვნით დაუმატა: „ბუნკიჩო, შეიღო! სჯობია, დღეს სახლში დარჩე, ყველაფერი საფუძვლიანათ მოისაზრო და ხვალ დილაზედ თქვენი განზრახვა სისრულეში მოიყვანოთ! პატარა ქალიშვილმაც ასე უთხრა მას: „მე არ მინდა, რომ თქვენ ახლა ზღვაზე წახვიდეთ“.

მაგრამ ბუნკიჩის ისეთი სიმტკიცით ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ არავისი რჩევა მასზე აღარ მოქმედობდა.

— ასე, თქვენი ნებართვით, მე წავიღებ პატარა ნავს, სთქვა ბუნკიჩიმ და ამ სიტყვებით წამოდგა და წასასვლელათ მოემზადა.

ვაჭარმა აღარ იცოდა, რანაირათ შეეყენებინა იგი და უთხრა:

— არა, არ იქნება; ეგ პატარა ნავი სახიფათოა; და თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლიათ, ტემმაბუნი\*) მაინც წაიღეთ, ისა სჯობია.

— არა, — სთქვა ყმაწვილმა, ჩემი საქმისთვის ტემმაბუნი არ გამოდგება, რადგანაც იგი დიდია, მასზედ მარტო-ხელა ნიჩბის მოსმას ვერ მოვახერხებ, პატარა კი ჩემთვის უფრო გამოსაყენებელია.

— კარგი, მაგრამ მაინც მარტოკას ვერ გაგიშვებ, სთქვა ვაჭარმა. — მე არ დავიშურებ ათი ოქრო მივცე იმას, ვინც კი მოისურვებს თქვენთან ერთათ წამოსვლას.

ეს რომ სთქვა — ყველა თავის მოსამსახურეებს და მეზობლებსაც წინადადება მისცა გაჰყოლოდნენ ამ შესანიშნავ ყმაწვილს დასახმარებლათ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ისე თავზარდაცემულები იყვნენ ამ ბუმბერაზ-ცხოველისაგან, რომ ვერაინ ვაბედა ვაჭრის წინადადების სისრულეში მოყვანა. ვაჭარს სასოწარკვეთილება შეეტყო. ყველა ეს შენიშნა ბუნკიჩიმ და მის დასამშვიდებლათ წამოიძახა: — მე არავინ არ მინდა, რომ

\*) ტემმაბუნი — დიდი ნავი.

წამომყვეს, მარტო-მარტო უფრო თავისუფლათ ვიმოქმედებ. ეს რომ სიკვამლე აიღო სამი საფთხულა, ჩაადგო პატარა ნავში და გასაკვირალი გულ-გრილობით გამოემშვიდა იქ მყოფთ ამ სიტყვებით: „გემშვიდობებით ყველას... მე მივდივარ და ისევ მალე გნახამთ“!

ვაჭარმა რამდენიმე თავისი მოსამსახურე და მარჯვე კული \*) მიიყვანა ნავთან, მოამზადებინა ოთხი მსხვილი თოკი და, როცა ყველაფერი მზად იყო, უთხრა ბუნკიჩის:

— ახლა კი მოიბი, შვილო, ერთ-ერთი თოკი წელზე!

— ჯერ უსარგებლო იქნება, ვინემ გორასთან არ მივალ, უთხრა ყმაწვილმა.

— რატომ არ გინდათ წარმოიდგინოთ, რომ შეიძლება უეცრივ გაჩნდეს ნათელ-თევზა! თქვენ კი რომ თოკი გებათ მაშინ ადვილათ გამოგწევდით ნაპირისაკენ და თქვენ ეს არ დაგიშლით თავისუფლათ ნავში ნიჩბების მოსმას.

ბუნკიჩიმ აღარ აწყენინა თავის პატრონს— შემოარტყმევინა თოკი წელზე; ერთი ამ თოკის წვერი თვით ვაჭარს ეჭირა და ასე ამგვარათ გასწიეს სამივოშისაკენ.

ბუნკიჩიმ, როგორც ზღვის შვილმა, მშვენივრათ იცოდა ნიჩბის მოსმა, მაგრამ ახლა კი ნელა უსვამდა, რადგანაც მას თოკი უშლიდა. უეცრივ ქარქაშიდან ამოაძრო ხანჯალი და ღმილით მის პირს შინჯვა დაუწყა.

აუარებელი ხალხი მოაწყდა იმ ადგილს, ყველას უნდოდა ერთი თვალთ მინც დაენახათ ეს გაბედული ყმაწვილი, რომელიც საშინელებასთან საომრათ ემზადებოდა.

— დიდი მამაცი უნდა იყვეს, აი! გაიძახოდნენ.

— ეს უბრალო ყმაწვილს არა ჰგავს! შესაძლოა იგი ისეთივე შესანიშნავი გახდეს, როგორიც იყო ჩვენი შესანიშნავი გმირი კატო კივომაზა \*\*).

— რა გულ ცივათ გამოიყურება!

— რამდენი გაბედულობა უნდა ჰქონდეს ამას!

\*) ასე ეძახიან იაბონიაში ტვირთ-მზიდავ მუშებს.

\*\*) კორეის დამპყრობელი 594 წელში.



ამისთანა ხმები ისმოდა ხალხში. აქებდნენ და აღი-  
 ლებდნენ ბუნკიჩის. სწორეთ ამ დროს ხალხიდან გამოვიდა  
 დედაბერი კრიალოსანით ხელში და თქვა:

— გეთაყვათ, ნება მომეცით თოკი მეც დავიჭირო. ნამუ-  
 —ამი—დაბუთსუ \*).

ახალგაზრდები მიუბრუნდნენ ამ დედაბერსა და უთხრეს:  
 „ეგ ცუდი ნიშანია! ნუ იმეორებ მაგ სიტყვებს. ამ თოკს  
 თქვენ არ დაგაქვრინებთ!“ დედაბერმა ყურადღებაც არ მიაქ-  
 ცია ამ ლაპარაკს და დაიწყო ისევ იმ სიტყვების გამეორება.

— მომეცით მეთქი მეც დავიჭირო ეგ თოკი. მე ხონგუა-  
 ზის \*\*) ტაძრის ასაშენებლათ ხის მასალას ვკრებ და, უეჭვე-  
 ლათ აქაც მინდა მივიღო მონაწილეობა. მე დარწმუნებული  
 ვარ, რომ ეს ქაბუკი—გმირია, თვით ბუდას მიერ გამოგზავნი-  
 ლი დასახსნელათ ხალხისა საშინელი განსაცდელისაგან. „ნა-  
 მუ-ამი-დაბუთსუ!“ გაიმეორა დედაკაცმა.

ეს სიტყვები არც კი გაეთაყვებინა დედაბერს—როდესაც  
 მასთან მივიდა ერთი მოსამსახურე ქალი და მის ახლო დადგა;  
 ამ მოსამსახურეს ზურგზედ ერთი პატარა ქალიშვილი ეკიდა.  
 დედაბერმა დაინახა რა ეს ქალიშვილი, მიუბრუნდა და უთ-  
 ხრა: „თქვენ დაიკოკუის ქალიშვილი არა ხართ? თქვენც  
 გინდათ განა თოკის დაჭერა? „ნამუ—ამი—და...“

ქალიშვილმა არაფერი ყურადღება არ მიაქცია დედაბე-  
 რის სიტყვებს. მას ამისთვის არ ეცალა. მისი თვალები სულ  
 სხვა ვისმე ეძებდა ზღვის სივრცეში. იგი უცქეროდა ნავს და  
 გულ-ამოსკვნით გაიძახოდა „ბუნკიჩი!“

ამ სახელის გაგონება იყო და იქ მყოფ ხალხის ძახილი:  
 „გავიგეთ, გავიგეთ, მაგ ყმაწვილს „ბუნკიჩი“ რქმევია. „ბუნ-  
 კიჩი დეიი—მიოზინ“, უძახოდა ხალხი ამ სახელს, რომელსაც  
 მხოლოდ ღმერთებს უწოდებენ ხოლმე.

ქაბუკი არაფერ ყურადღებას არ აქცევდა ამ ჩოჩქოლს,

\*) ეს სიტყვები ბუდიურ ლოცვისაა. ზოგიერთა აზრით, ესაა ჰგო-  
 ნიათ, რომ ამ სიტყვების გამოხრებით შეიძლება ცხოვნება.

\*\*) უმთავრესი საცხოვრებელი ადგილი ბუდის სარწმუნოების  
 ხელმძღვანელებისა კიოტაში.

იგი ნელ-ნელა მიაცურებდა ნავს ციცაბო კლდის ძირში. ვაჭარი და სხვები კლდის ნაპირ-ნაპირ მისდევდნენ და ბეჯითათ თვალ-ყურს ადევნებდნენ გმირის მოქმედებას.

ზაფხულის გრძელი დღე ილგოდა: შორეული ოკეანედგან დაიძრა გრილი ქარი. ნავს ფიქვნარი ჰფარავდა. ხალხის ხმაურობა ნელ-ნელა სუსტდებოდა, რადგანაც ნავი ნაპირიდგან უკვე კარგ მანძილზედ გაცურებულებოდა; სიჩუმეს ხანდახან ვაჭრის ძახილი არღვევდა და ბუნკიჩის პატრონისკენ მიმართული ხმაურობა. არც ერთი ხომალდი არ მოჩანდა ზღვაზედ, რადგანაც ყველას ეშინოდა ნათელ-თევზასთან შეხვედრა. ცაში შავი ღრუბლები შეკუმშულიყვნენ და ძირს ტალღები ერთი ერთმანეთს ეჯახებოდნენ.

ყველა ამის მნახველი ადამიანი შიშს მიეცემოდა. ბუნკიჩიმ კი წარბ-შეუხრელათ საფთხულები დააწყო ნავის ცხვირზედ და გააქანა ნავი იმ ადგილისაკენ, სადაც ჩვეულებრივ ნათელ-თევზა გამოჩნდებოდა ხოლმე. ახლა ამას კარგად შეეძლო გაერჩია უბსკრულის სათავეზე თავისი პატრონი და მრავალი სხვებიც, რომლებიც თოკს უჭერდნენ ფიქვის დიდს ტოტსა. ერთი სიტყვით ორივე მხრივ დიდი მზადება იყო: ზევით ემზადებოდნენ ვაჭირების დროს ბუნკიჩის ამოყვანას და ეს უკანასკნელი კი ემზადებოდა ნათელ-თევზას დახვედრას და მასთან შებრძოლებას.

აი გამოჩნდა ნათელ-თევზა! იგი რკინასაებ მაგარი საცურაო იარაღით ღონივრათ არღვევდა წყალს. ამ საკვირველებამ წყალში შეამჩნია თავისი მსხვერპლის ლანდი, სიხარულით ამოიწია თავი და გასწია ნავისაკენ.

— მოდი, მოდი! მოდი ახლო! ბუტბუტებდა ქაბუკი და თან გადასაგდებათ ამზადებდა საფთხულას.

უბსკრულის თავზე მდგომ ახალგაზდებმა, როგორც კი დაინახეს ეს საკვირველი ცხოველი, მოინდომეს მაშინათვე თოკის აწევა, მაგრამ ვაჭარმა ნება არ მისცა, რადგანაც ბუნკიჩისაგან ნიშანი არა სჩანდა.

ვაჭარი გულის ფანცქალით თვალ-ყურს ადევნებდა



ბავშვის მოძრაობას, სხვები-კი სულ-განაბულები იდგნენ და ხელებს იფშვნეტდნენ.

ბუნკიჩმა გადაუგდო ნათელ-თევზას საფთხულა. იგი გადატრიალდა; მისი სხეულის თეთრმა ნაწილმა წყალში ბუკურიალი დაიწყო, მოჰკიდა საფთხულის კბილები და ჩაქანა ზღვისა სიღრმეში. მალე ისევ ზევით ამოვიდა და ბუნკიჩიმ ამ დროს მეორე საფთხულა გადაუგდო. ნათელ-თევზამ ამას არაფერი ყურადღება არ მიაქცია და პირდაპირ ჭაბუკისაკენ გასწია.

ზევით, უბსკრულის თავზედ, გულის-ფანქვალით ვაქარი უცდიდა ბუნკიჩისაგან ნიშანს, მაგრამ იგი არსად მოჩან-



და. ბუნკიჩის ერთ ხელში საფთხულა ეჭირა და მეორე ხელით მოასწრო ხანჯლის სროლა. ეს შხამის გავლენით მოხდა, თუ ხანჯლის გადაღდებით—ეს საკვირველება გადატრი-

აღდა და რამდენიმე ადლი უკან დაიწია. ხალხი თავზარდა-ცემული თვალს ადევნებდა მის მოძრაობას: იგი ხან ჩაიყურ-ყუმელავებდა ნავის გარშემო და ხან თავს ამოჰყოფდა ნავის ბოლოზე. მერე, როგორც შეატყობდით, სულთ-მობრძავე უკანასკნელ ძაღას იკრფეფავდა, ეღვის სიჩქარით ტრიალვდა წყალში და აქოთქორებდა წყალს ისე, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ნავის გადაბრუნება და ზენი გმირის დამარცხება.

ბუნკიჩიმ შენიშნა რა ნათელ-თევზას მდგომარეობა, წამოვიდა ნელ-ნელა უკან-უკან. ამ დროს ნათელ-თევზა მოხვდა ნავს და ნავი გადააკოტრიალა. ბუნკიჩიმ ძლივს მოსწრო ნიშნის მიცემა. თვალის დახამხამებაში იგი უკვე ჰაერში ჭკვანწიალა. ეს საკვირველება ერთი კიდევ შეინძრა, გაექანა კლდისაკენ, ეტაკა კლდეს და სულ-მთლათ დაუძღურებულნი და დასუსტებული ზღვის ტალღების სათანაშო ნივთათ გადაიქცა.

ბუნკიჩი ამ ხანობაში უკვე სამშვიდობოში გრძნობდა თავს, იგი ფიქვის ხის ტოტზედ იღგა და უცქეროდა თავის მსხვერპლს.

პატარა დაიკოკუიმ დანახა თუ არა თავისი ბუნკიჩი უვნებლათ, ღელვისაგან სიტყვის თქმა ველარ მოახერხა, მხოლოთ გამოართო ხელი და ნიშნათ გამოუთქმელი მადლობის მიიღო თავის შუბლზედ. თვალეზი ამავე დროს სიხარულის ცრემლებით ემსებოდა. იქ მყოფნიც ტიროდნენ, რადგანაც არ იცოდნენ სხვანაირათ როგორ გადაეხადნათ მადლობა ამ შესანიშნავი ყმაწვილისათვის.

ცოტა ხნის შემდეგ ბუნკიჩი მოშორდა ხალხს, უბსკრულის უფრო მადლობ ადგილზედ შესდგა და ცქერა დაიწყო ზღვისაკენ, სადაც ნათელ-თევზა ტალღებს მიჰქონდ-მოჰქონდა. მას სიხარულით გული უცემდა და ეუბნებოდა ხალხს: „სულითა და გულით გამადლობთ ყველას; თქვენმა დახმარებამ დამიხსნა მე განსაცდელისაგან. ნათელ-თევზა ეხლა, როგორც ეტყობა, მკვდარია.“

ეს სიტყვები ისეთი სიმშვიდით იყო წარმოთქმული თი-



### კობუნ-დეიზინ

თქო მის სახითათო თავ-გადასავალს არაფერი შიშის ბეჭედი არ დაუსვამს შუბლზედაო, მაშინ, როდესაც იქ მყოფნი ჯერეთ ვერ გამოკვლეულიყვნენ გამოვლილი ელდისაგან.

ამ სიტყვების შემდეგ ვაქარმა ძლივს მოახერხა ხმის ამოდება:— არა, ჩვენ კა არა, შენ დაგვიხსენი ამ საშინელები-საგან. ვინემ ნათელ-თევზა ცოცხალი იყო, მთელი ხალხი სახითათო მდგომარეობაში იმყოფებოდა, და ახლა კი, რადგანაც იგი მოკლულია, ხალხი ისევ გამოცოცხლდება. მე არც კი ვიცი როგორ გადავიხადო მადლობა. ახლა კი დროა საჩქაროთ დავბრუნდეთ შინ და ეს სასიამოვნო ამბავი ქვეყანას ვაცნობოთ.


მაშინ, როდესაც ვაქარი აჩქარებდა სხვებს სახლში წასასვლელათ, ბუნკიჩი კი ამას ეუბნებოდა: ჩვენ არ შეგვიძლიან ნათელ-თევზა ასე დავტოვოთ — შეიძლება იგი გაცოცხლდეს. რა ხელს მოგვცემს ამის აქ დატოვება, საჭიროა რომ იგი თოკით გამოვათრიოთ. მგონია, რომ გადაბრუნებული ნავიც კლდის ძირში უნდა იყოს. რამდენიმე კაცი ჩავიდეს ნავთან და მე კი თქვენის შემწეობით ვეცდები ნათელ-თევზას გამოთრევას.

ვაქარი დათანხმდა ამ წინადადებაზედ და გამოიხმო მსურველები, მაგრამ ვერაფერ ვერ გაბედა. ზოგმა ავიათყოფობა მოიგონა და ზოგი ფიქრობდა— რომ ნათელ-თევზა ცოცხალია და ახლო მასთან მისვლა სახიფათოაო.

ბოლოს, როგორც იყო, რამდენიმე კაცი დათანხმდა და ყმაწვილთან ერთათ ჩავიდნენ ზღვაში.

#### ა. ნათაძე.

#### შემდეგი იქნება.



სახელმწიფო წყობილება ჩრდილოეთ ამერიკის  
შეერთებულ შტატებში.



II

ირველი წერილიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ამერიკაში მეთვრამეტე საუკუნეში იყო ცამეტი ახალშენი; ეს ახალშენები ეკუთვნოდნენ ინგლისს. ახალშენები შეერთდნენ ინგლისთან საბრძოლველათ, 1776 წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა და შეადგინეს კავშირი ანუ ფედერაცია. ყოველ ახალშენს დაერქვა სახელათ

შტატი. ამგვარათ ჩრდილოეთ ამერიკა დღეს წარმოადგენს საფედერაციო რესპუბლიკას და განიყოფება ორმოცდახუთ შტატათ. თვითეული შტატი თავის საკუთარ, საშინაო საქმეებს თვითონ განაგებს; ამისათვის მასა ჰყავს თავისი საკუთარი მთავრობა. ყველა შტატები ერთათ ექვემდებარებიან ფედერალურ ანუ მთავარ საერთო მთავრობას. საერთო მთავრობა რაღას განაგებს? ისეთ საქმეებს, რომელებიც ყველა შტატებს შეეხება. ჯარის შენახვა, მტერთაგან თავის დაცვა, ომის დაწყება, გზების გაყვანა, საერთო სასამართლოების შენახვა, გადასახადების გაწერა და მოკრეფა, — ყოველივე ეს შეადგენს ფედერალური მთავრობის მოვალეობას და უფლებას. გარდა ამისა, კერძო შტატების მთავრობას თვალ-ყურს ადევნებს უმთავრესი მთავრობა, რომ მან კანონი არ დაარღვიოს და მოქალაქეთა უფლებები არ შეავიწროვოს. ფედერალური მთავრობის სათავეში სდგას პრეზიდენტი. პრეზიდენტი წარმოადგენს აღმასრულებელ ძალას. კანონმდებელი ვინღა არის?



ამერიკის შტატებში საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის ორ პალატას, რომლებიც ერთათ შეადგენენ კონგრესს. პრეზიდენტს ამერიკაში ირჩევენ ოთხის წლით. პრეზიდენტათ არჩევის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ამერიკაში თოთხმეტი წელიწადი მაინც უცხოვრია და იმავე დროს ოცდათხუთმეტი წელზე უნცროსი არ არის. ჯამაგირათ მას ეძლევა ასიათას მანეთამდე წლიურათ.

რანაირათ ირჩევენ ამერიკელები თავის პრეზიდენტს? ყოველი შტატი ირჩევს ამომრჩევლებს. ამომრჩევლები იკრიბებიან თავთავის შტატებში ერთსა და იმავე დღეს, რომელსაც წინდაწინვე აცხადებს მთავრობა, და ქალაქზე აღნიშნავენ იმ პირის სახელსა და გვარს, ვინც მათ პრეზიდენტობის ღირსათ მიაჩნიათ. ამგვარი ქალაქები დაბეჭდილი იგზავნება სატახტო ქალაქში. შეიკრიბებიან ორივე პალატის დეპუტატები და კონგრესის თავმჯდომარე გახსნის ყველა მოსულ ქალაქებს. ვისაც ყველაზე მეტი ხმა ამოუვა, პრეზიდენტათც ის იქნება დამტკიცებული. ამომრჩევლობის უფლება არა აქვთ მოხელეებსა და დეპუტატებს.

ამერიკაში არის ორი ძლიერი პარტია: ერთია დემოკრატიული პარტია, მეორე—რესპუბლიკანური. ყოველი პარტია ცდილობს, თავისი კანდიდატი აირჩიოს პრეზიდენტათ. რადგანაც პრეზიდენტს ირჩევენ ამომრჩევლები, აქედან ცხადია, რომ რომელ პარტიასაც მეტი ამომრჩეველი ეყოლება, არჩევენებზედაც ის გაიმარჯვებს ე. ი. თუ რესპუბლიკანურმა პარტიამ მეტი ამომრჩეველი აირჩია, მაშინ პრეზიდენტათაც ამ პარტიის კანდიდატი გავა; თუ დემოკრატიულ პარტიას მეტი ამომრჩეველი ეყოლა, მაშინ პრეზიდენტათაც ის გაიყვანს თავის კანდიდატს. ერთსა და იმავე პირს მხოლოდ ორჯერ შეუძლია პრეზიდენტობა ე. ი. რვა წელიწადს; მესამეთ ერთი და იმავე პირის არჩევა აკრძალულია კანონით. პრეზიდენტის არჩევენებს ამერიკაში ყოველი პარტია დიდის ამბით ეგებება. იმართება ქუჩებში, მოედნებზე, საჯარო სახლებში კრებები, რომლებსაც ესწრება ათასობით ხალხი. სხვა-და-სხვა ორატორები აცნობენ საზოგადოებას თავის შე-

ხედულებას ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატზე; ყოველი პარტიის ორატორი თავის კანდიდატს აქებს; ქუჩებში ატარებენ კანდიდატების სურათებს და სხვ.

არჩევნების უფლება ამერიკაში ყველასა აქვს, — მდიდარსაც და ღარიბსაც. ამიტომ არჩევნებში ყველა იღებს მონაწილეობას. ყოველი ამერიკელი, რაც უნდა ღარიბი იყოს ის, ან რაც უნდა ბევრი საქმე ჰქონდეს, არჩევნებში უსათუოდ მიიღებს მონაწილეობას.

პრეზიდენტი არის ჯარისა და ფლოტის უფროსი. ის ჰკრავს ხელშეკრულებას სხვა სახელმწიფოებთან, ნიშნავს ელჩებს, უმაღლეს მოხელეებს; მას უფლება აქვს, დამნაშავეს სასჯელი აპატიოს, ან შეუმსუბუქოს. მას შეუძლია, არ დაამტკიცოს კონგრესის მიერ შემუშავებული კანონი; ხოლო თუ კონგრესმა ხელახლა მიიღო პრეზიდენტის მიერ დაწუნებული კანონი, მაშინ ეს კანონი ძალაში შედის და სავალდებულო ჰხდება როგორც მთელი რესპუბლიკისათვის, ისე პრეზიდენტისთვისაც. ამგვარათ პრეზიდენტის უფლება ამერიკაში ძალიან განსაზღვრულია.

პრეზიდენტის თანაშემწეა სამინისტრო, რომელსაც შეადგენს შვიდი მინისტრი. თვითეულ მათგანს ჯამაგირათ ეძლევა ათას-ექვსასი გირვანქა სტერლინგი ანუ ჩვენებურათ ათას-ექვსასი თუმანი, რადგანაც გირვანქა სტერლინგი უდრის ჩვენებურ თუმანს. მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი და ზედა პალატა ანუ სენატი. კონგრესში მინისტრებს არავითარი ხმა არა აქვთ.

საფრანგეთში პასუხის-მგებელი ქვეყნის წინაშე მინისტრები არიან; ამერიკაში კი პასუხის-მგებელი თვითონ პრეზიდენტია: თუ მთავრობამ კანონიერებას გადაუხვია, — ყველაზე უმაღლეს პრეზიდენტს მისცემენ სამართალში. სამართალში მიცემა პრეზიდენტისა არის დეპუტატთა პალატის უფლება; გასამართლება კი სენატის უფლებას შეადგენს. საფრანგეთში და ინგლისში თუ პალატამ სამინისტროს მოღვაწეობა არ მოიწონა, სამინისტრო უნდა გადადგეს. ამერიკაში კი მინისტრების დათხოვა მხოლოდ პრეზიდენტის უფლებას შეადგენს.



იქ სამინისტრო არ არის პასუხის-მგებელი, როგორც ინგლისში და საფრანგეთში; სამაგიეროდ ამერიკაში თვითონ პრეზიდენტია პასუხის მგებელი. საფრანგეთის პრეზიდენტმა და ინგლისის მეფემ იმას უნდა მოაწერონ ხელი, რასაც მინისტრები გადასწყვეტენ. ამერიკაში კი სამინისტრომ ის უნდა მიიღოს, რასაც პრეზიდენტი გადასწყვეტს. თუ სამინისტრო პრეზიდენტს არ დაეთანხმა, მაშინ პრეზიდენტი მას დაითხოვს, და სხვა მინისტრებს იწვევს. ნამდვილათ ასეთი შემთხვევა ფრიად იშვიათია, რადგანაც პრეზიდენტი და მინისტრები ერთი და იმავე პარტიის წევრები არიან და უფრო ახერხებენ ამის გამო ერთმანერთში შეთანხმებას.

საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის კონგრესს, რომელსაც შეადგენს ქვედა პალატა და ზედა პალატა ანუ დეპუტატების პალატა და სენატი. სენატორებს ირჩევს ხალხი ექვსი წლის ვადით. ყოველი შტატი ირჩევს ორ სენატორს. სენატორს არ შეუძლია, რაიმე სამსახურში იმყოფებოდეს.

რაში მდგომარეობს სენატის უფლება? დეპუტატებთან ერთად ის იხილავს და ამტკიცებს კანონ-პროექტებს; ამტკიცებს ან უარპყობს პრეზიდენტის ყოველგვარ განკარგულებას. პრეზიდენტი ვერც ერთ მოხელეს ვერ დანიშნავს ისე, თუ მას სენატი არ დაეთანხმება. გარდა ამისა, სენატი ასამართლებს იმ უმაღლეს მოხელეებს, რომლებსაც დეპუტატების პალატა მისცემს სამართალში.

რადგანაც სენატორებს ირჩევენ შტატები, ამიტომ სენატორები არიან შტატების წარმომადგენლები.

დეპუტატებს ირჩევს ხალხი ორის წლით ყოველი დეპუტატი ოცდახუთ წელზე უმცროსი არ უნდა იყოს და ამერიკის მოქალაქეთ შვიდი წელიწადი მაინც უნდა ითვლებოდეს. არჩევების უფლება ამერიკაში ყველასა აქვს. დეპუტატს ირჩევენ ფარული კენჭის ყრით. დეპუტატების უფლებას შეადგენს კანონპროექტების შემუშავება და დამნაშავე მოხელეების სამართალში მიცემა. დეპუტატებს უფლება აქვთ თვით პრეზიდენტის კი მისცენ სამართალში, თუ იმის მოქმედებაში კანონის დარღვევა ან სამშობლოს ღალატი დაინახეს. დეპუ-

ტატები თავის შორის ირჩევენ პალატის თავმჯდომარეს, რომელსაც ეწოდება სპიკერი. თვითეულ სენატორსა და დეუტატს ჯამაგირათ ეძლევა ხუთმეტრი ათასი მანათი. ყოველ შტატში თავთავისი სასამართლოები არსებობენ და თავთავისი მოსამართლენი, ხოლო ისეთი სადაო საქმეების გადასაწყვეტათ, რომლებიც მთელ რესპუბლიკას შეეხებიან, ამერიკაში არსებობს უმაღლესი სასამართლო, რომელსაც შეადგენს ცხრა მოსამართლე. მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი სენატთან შეთანხმებით. მოსამართლეების დათხოვნა ამერიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მათ რაიმე დანაშაული ჩაიდინეს კანონის წინააღმდეგ.

ამერიკის რესპუბლიკას შეადგენენ შტატები. კონგრესი წარმოადგენს საკანონმდებლო დაწესებულებას მთელი რესპუბლიკისათვის. შტატების კერძო ცხოვრებაში კონგრესი მხოლოდ მაშინ ერევა, როცა შტატის კერძო მთავრობა კანონებს არღვევს.


ყოველი შტატი თვითონ განაგებს თავის შინაურ საქმეებს; ყოველ შტატსა აქვს საკანონმდებლო დაწესებულება ზედა და ქვედა პალატით; ჰყავს საკუთარი გუბერნატორი, მოსამართლეები და სხვ. გადასახადის გაწესრიგებას, სწავლა-განათლების საქმეს, რკინის გზას, ფოსტას და სხვ. ყოველი შტატი თავის სამზღვრებში თვითონ განაგებს. შტატებში არჩევნების უფლება ყველასა აქვს, გარდა ქალებისა. ამერიკაში ქალები დღითიდღე აფართოვებენ თავის უფლებებს და ზოგიერთ შტატებში მათ უკვე მოიპოვეს არჩევნების უფლება. გუბერნატორს ირჩევენ ხალხი ორის წლით. მისი უფლება მეტათ პატარაა. ის უფრო თვალყურს ადევნებს საქმეების წარმოებას, ვიდრე განაგებს. მას უფლება აქვს, არ დაამტკიცოს ესა თუ ის კანონი; ხოლო თუ პალატამ მეორეთ მიიღო იგივე კანონი, გუბერნატორი უნდა დაემორჩილოს.

ყოველ ქალაქსა და რამოდენიმე სოფელს ერთათ ანუ ჩვენებურათ სამამასახლისოს ამერიკაში საკუთარი თვითმართველობა აქვთ, ე. ი. თავის შინაურ საქმეებს ისინი თვითონ განაგებენ.



ამერიკაში, როგორც უკვე ვსთქვი, ორი ძლიერი პარტიაა: პარტია რესპუბლიკელებისა და პარტია დემოკრატებისა. პირველ პარტიას შეადგენს მდიდარი ბურჟუაზია, მეორეს კი წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და მუშების ნაწილი. ამერიკაში არსებობენ მუშათა კავშირები, რომლებიც ერთათ შეადგენენ შრომის ფედერაციას. მუშათა პარტია ამერიკაში თანდათან იზრდება და მისი გავლენაც ნელანელა მატულობს.

„ვ. გომარტელი.



## ვინ უოფილა მოლაღური.

(ხალხური ზღაპარი)



„მოლაღურიც გაიძახის მაღლა:  
„ბიჭო, გოგიაო“!

ვენს ძვირფასს მგოსანს რ. ერისთავს ეს სიტყვები თითონ არ შეუთხზავს, არამედ ხალხის გულიდან აქვს ამოღებული, ჩვენის მდაბიო ხალხისაგან აქვს გაგონილი.

მოლაღურის ამბავს ასე მოგვითხრობს ხალხი:

ერთს ოჯახში სცხოვრებდა მეტად მშვენიერი და სახელგანთქმული ვაჟ-კაცი „გოგია“. გოგიას ჰყავდა მოხუცი დედა, ერთი და და ლამაზი ცოლი.

ერთხელ გოგია ომში წასასვლელათ გაემზადა. გამოეთხოვა თავის ოჯახს და შემდეგი სიტყვა დასტოვა: აი, ეს ჩემი აწყობილი ჩონგური შემინახეთ; რამდენიც შეიძლოთ, უკარით. სანამ ჩონგურის სიმები აწყობილი იქნება, მეს, იცოდეთ, ცოცხალი და ტანმრთელი ვიქნებო. ამ სიტყვებით გამოეთხოვა და გასწია ომში.

დიდმა ხანმა განვლო. ჩონგურზე ბევრსაც უკრავდნენ. მაგრამ მის სიმებს მოშლა არ ეტყობოდა, სულ ისევ მშვენიერათ აწყობილ ხმაზედ გამოიძახოდნენ.

მაგრამ ერთს დღეს, ჩონგური რომ ბუხარზედ იდგა აწყობილი, ოთახში შემოვიდა წყეული კატა. ახტა კატა ბუხრის ფიტონზედ და ჩონგური ჩამოაგდო.

ჩონგური არამც თუ მოიშალა, მთლათ დაიმსხვრა.

შეიქმნა მთელს ოჯახში მოთქმა, ტირილი და წუხილი: ეს სწორეთ ცუდი ნიშანია და გოგიას უჭირსო.





აქ დედა ატირდა, იქ მისი და; მხოლოდ გოგიას ცოლს არა ეტყობოდა-რა მწუხარებისა. ადგა, პირი დაიბანა, მივიდა სარკესთან, დაიწყო ცქერა, სარკეში და თმის ვარცხნა.

რალაც ძალამ გაუჩერა ხელი მას, თავზედ რომ ედვა, და სავარცხალიც თმაში დაურჩა ჩარჭობილი.

გოგიას ცოლი იქცა ოფოფათ და თავისი სავარცხალიც თავზედ დაჰყვა. აფრინდა ოფოფი და მას აქეთ ცალკე დახეტილობს ტყესა და მინდორში, არა ფრინველი მას არ იკარებს.

გოგიას დედამ ინატრა ფრინველათ გადაქცევა, რომ ჩემი შვილი გოგიას ნახვა შეესძლოო, — მკედარია, თუ ცოცხალი — გავიგოვო.

ღმერთმა ის გადააქცია „მოლადურათ“; მისმა ქალი-შვილმაც ისურვა გაყოლა დედასთან და ის გადააქცია ღმერთმან ბულბულათ. მას აქეთ ბულბული და მოლადური ერთათ დაფრინავენ და მოლადური სულ გაიძახის:

„შვილო, გოგიაო!“

„შვილო, გოგიაო!“

მაგრამ დღესაც ვერ გაუგია და ვერ მოუნახავთ, სად და რა ალაგას მოჰკლეს მათი „გოგია“.

ს. დათეშიძე.



## ცოდნის გამარჯვება.

(რუსული).

რაც გუშინ ოცნება იყო,  
დღეს სინამდვილეა.



დასავლეთ აფრიკის მკვიდროს შორის გავრცელებულია შემდეგი თქმულება, რომლითაც აიხსნება თეთრი ტომის უპირატესობა კაცობრიობაში. „ღმერთმა შექმნა ორ გვარი ადამიანი, ერთი—თეთრი, მეორე—შავი. მერმე ზეციდან ჩამოუშვა ორი დახურული კალათი—ერთი დიდი, მეორე სულ პატარა და ბრძანა: ორთავეს გაეყოთ ეს საჩუქარი. შავმა ადამიანმა მაშინათვე ხელი დაავლო დიდ კალათს, პატარა კი თეთრმა ადამიანმა წაიღო. დიდ კალათაში ელაგა: თოხი, ანკესი, შვილდ-ისარი მონადირესათვის და ოქროს სილა ვაჭრობისათვის. პატარაში კი იდო მარტო ერთი წიგნი. თეთრმა ადამიანმა დაიწყო მისი გულმოდგინეთ კითხვა და შეიძინა ის სიბრძნე, რომლითაც მან დაიმონავე მთელი ქვეყანა და მაშასადამე შავი ადამიანიც.

ამ თქმულებაში ღრმა აზრია: თეთრი ადამიანის წინმსვლელობა ცოდნაზე და მოკიდებული, თავისი ცოდნით და ცხოვრებით ის განირჩევა შავ ადამიანისაგან. მაგრამ ცხადია, რომ ზეციდან ჩამოვარდნილი წიგნიდან არ ამოიკითხა მან თავისი სიბრძნე და ცოდნა. არა, ასი და ათასი წლოვით მუ-



შაობდა კაცობრიობა მის საზოგნელად. არა თუ ერთი და ორი ადამიანი მთელს თავის სიცოცხლეს რამე გამოკვლევას სწირავდა თავს, არამედ მთელი კაცობრიობის საუკეთესო შვილნი აკლავდნენ სიცოცხლეს და რიცხვი მათი თვალსაჩინოა. ამ საერთო კვლევა-ძიებაში იღებდნენ მონაწილეობას როგორც ეგვიპტელნი კერბთა მსახურნი, ისეც საბერძნეთის ბრძენნი, არაბელთა ნასწავლნი და „მეცნიერების წინამძღოლნი“ რომელნიც ახლანდელ ეჭრობიელთა ეკუთვნოდნენ. ათასგვარ კრუმორწმუნეობისაგან აზრები შებოჭილი იყო. წინმსვლელობის ყოველი ნაბიჯი ძნელი იყო და ძნელად თავისუფლდებოდა. ცრუ გრძობები აბრკოლებდა წინმსვლელობას. ადამიანის გონება იხრჩობოდა უმეცრებაში. საზოგადოთ ადამიანებს უყვართ და მიმდევარნი არიან ყოველი სიძველისა და მაშასადამე ეს ბევრს უშლიდა აზრის გამორკვევას. ვისაც კი გაუბედნია ძველათ დამკვიდრებული რწმენის დარღვევა და ძველი ღმერთების ძირს დამხობა და ახალი სიტყვის თამამათ წარმოთქმა, მან კარგად იცის, თუ რა აღშფოთებას და სიძულვილს იწვევს ის თავის თანამედროვეებში.

ადამიანის მაძიებელი და თავისუფალი გონება ებრძოდა დახვესებულს და კუდ შეკვეცილს აზრებს. ადამიანის „სისულელე და სულის სიმდაბლე მას გზაზედ ეღობებოდა, სდევნიდა, ქვით ქოლავდა, ჯვარს აცავდა, სტანჯავდა საპყრობილებებში, სწვავდა კოცონზე და აი ამიტომაც ცოდნას ჰყავს თავისი წამებულნი. ეს წამებულნი გამოუთქმელი ტანჯვით, მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდნენ, რომ ცოდნის ერთი ნაბიჯი მაინც წინ წაედგა და ამას აძულებდა მხოლოდ მეცნიერების სიყვარული და ერთგულობა.

თვით თავისუფალ საბერძნეთშიაც ბრძენნი და ნასწავლნი იყვნენ ხშირად დევნილნი: მათ სწამებდნენ ძველი ღმერთების და შეთვისებულ რწმენის უარყოფას. მათ აძევებდნენ სამშობლო ქალაქიდან. ასეთ უეცდროში შემჩნეული სოკრატე სიკვდილით იყო დასჯილი. ცოტათი უფრო გვიან, როდესაც დაარსდნენ დიდი სიხელმწიფოები და ამ სიხელმწიფოებში აირია სხვა და სხვა ტომთა ხალხი, სხვა და სხვა რწმენა, სხვა და

სხვა ზნე და ჩვეულება, ადამიანმაც ისწავლა სხვისი აზრის პატივისცემა, ის გახდა უფრო მომთმენი, სიმართლის ამტანი.

აი ეხლა ადამიანის აზრმა გაიგნო თავისუფლების გზა. ასე იყო იმ სახელმწიფოებში, რომელნიც დაარსდნ ალექსანდრე მაკედონელის ჯროს და შემდეგში რომის სახელმწიფოში.

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ეს თავისუფლება: დადგა საშუალო საუკუნეები და აზრი ისევ შეიბოჭა. იმ დროს ძლიერი კათოლიკეთა სასულიერო წოდება გახდა მტერი ყოველივე ახალი აზრისა; მან დაიმორჩილა ადამიანის მთელი სულიერი არსება, ყველგან შეიტანა თავისი კანონები და შეხედულებანი, მან თავისებურათ დაასახელა რა არის სიმართლე და რა არი შეცდომა. საშინელი ინკვიზიცია სჯიდა ყველას, ვინც კი გაბედავდა არ ერწმუნა მათი ნათქვამი, ვინც კი გადუზვევდა მათ აზრს. ყოველი სიმართლის მძიებელი იყო მათგან დატანჯული. ასეთ გამბედაობისათვის ინკვიზიცია მას სასტიკად სჯიდა. „ღმერთის სახელის სადიდებლად ის თავის საშინელ ციხეებში ახრჩობდა, აწვალებდა, აწამებდა. მათ „სისხლის დაუღვრელათ“ სჯიდნ სიკვდილით, ე. ი. სწვავდნ. რომ თავიანთი გავლენა ხალხზე არ დაჰკარგოდათ, თავიანთი სახელი სპეტაკათ შეენახათ, სასულიერო წოდებამ შემოიღო ცენზურა. ცენზორი არ სტოვებდა გადაუკითხავათ არც ერთს ახალ თხზულებას, და ვაი ავტორს, თუ რამე ახალი აზრი, ან რწმენა იყო ნაში გამოთქმული. ყოველივე თავისუფალი, დამოუკიდებელი აზრი წინდაწინვე იყო განკიცხული, როგორც „უწმინდური“ ადამიანი ათასობით იღუპებოდა წმინდა ინკვიზიციის ხელით მომზადებულ კოცონზე.

მაღე ამ სასულიერო წოდების მაგალითს მიჰბაძა მართელობამაც და შემოიღო სავალდებულო ცენზურა ყველა წიგნებზე. ადამიანის გამომკვლევ და მძიებელ აზრებს ყოველი მხრიდან ელობებოდნ მტრები. არსად არა ჰქონდა მას თავშესაფარი — არც უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც დიდი ხნობით სუფევდა შემდეგი კანონები: „იყავ მორჩილი, ნუ მოი-



თხოვ დიდებას, ნუ იძიებ სიღრმეს, იყავ კმაყოფილი იმით, რასაც მოგცემენ“.

ექვს გარეშეა, რომ რაც უნდა ედევნათ თავისუფალი აზრი, ეს დევნა მას ვერ ჩააქრობდა, მხოლოდ უშლიდა კი მის განვითარებას და წინსვლელობას. როგორც მცენარისათვის საჭიროა მზის სხივები, ისე ცოდნის განვითარებისათვის საჭიროა თავისუფლება აზრისა, თავისუფლება გამოკვლევისა. და აი ამიტომ გამარჯვება ადამიანისა ყოველსავე სიბნელეზე — იყო იმავე დროს გამარჯვება და დღესასწაული ცოდნისათვის.

## II

ცოდნა სამაგალითოდ განვითარდა ამ უკანასკნელ საუკუნეში დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში — იანკების ქვეყანაში. ცოდნა გარდაიქცა, უწინ დევნილი, საზღაპრო ქმნილებათ. ყოველგან ამართულია მისი „ციხეები“, საუკეთესო დამამშვენებელი იქაურ ქალაქებისა, ამბობს ერთი რუსი მეცნიერი არის უნივერსიტეტის შენობები, მშვენივრად მოწყობილები. ასეთ სამაგალითო მოწყობილ შენობებს ნახავთ ყოველგან ზღვის პირზე; აქ მეცნიერები იკვლევენ სხვა და სხვა ზღვის მცხოვრებლებს; ასეთი შენობები მთის მწვერვალზედაც არის აშენებული. „ადამიანმა რომ მიახწიოს ცას და გაიგოს მისი საიდუმლოებანი, მეცნიერები ავიდნენ მთის მწვერვალეზე. იქ ააშენეს ობსერვატორიები. იქიდან ჩვენ ვტყობილობთ რაც საკვირველება ხდება სამყაროში“.



სად არა გზავნის მეცნიერება თავის შიკრიკებს. მიწის სიღრმეში, ცის სივრცეში, გაყინულ ქვეყნებში; მეცნიერები

დაეძებნენ ძვლებს უწინდელი პირუტყვებისას, ლოკოკინებს, თევზებს. ყოველგან სდულს და გადმოდის საქმე, ყველა ჩაბმულია ფერხულში. ყველა მეცნიერი საოცარი გულდასმით და ბეჯითათ იკვლევს ბუნებას. მეცნიერი ზომავს, სწონავს, ანგარიშობს, მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს ერთ რამე გამოკვლევას. პირველ შეხედულებაზე ეს გამოკვლევა მცირედია. თავის გამოსაკვლევათ მეცნიერებმა გამოიგონეს ათას გარი იარაღები. რაგინდ მცირედი და უხილავი იყოს საგანი ამ იარაღის საშუალებით არაფერი არ რჩება გაუზომელი, გაუსინჯავი. და როგორც ჯილდო ასეთ მუშაობისა, მეცნიერებმა შესძლეს გამოექვეყნათ ათასი გამოჩენანი.

ყველას უნახავს, როგორ თამაშობს ხოლმე მზის სხივი მინაზე და სხვა და სხვა საგნებზე. ამას ჩვენ მზის თინათინს ვეძახით. მეცნიერები კი „სპექტრს“ უწოდებენ. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეს სპექტრი, ის შავი წერტილებიც, რომელნიც ამ სპექტრზე გამოჩნდება ხოლმე. გამოიკვლიეს რისაგან შესდგება მზე, მისი სითბო, მისი სიმძიმე, სიმჭირნე (ПЛОТНОСТЬ) და სხვა ფიზიკური თვისებანი.

უფრო ნათლათ წარმოგვიდგება თუ რა ძნელი იყო ეს გამოკვლევა, როდესაც მოვიგონებთ იმას, რომ მზე ჩვენგან 140,000,100 ვერსის მანძილზე იმყოფება. 133 წელიწადი მოგვინდებოდა რომ მიგვეხწია მზემდის და ისიც იმ პირობით, თუ განუწყვეტლივ ვივლიდით დღე და ღამე საათში 120 ვერს. მეცნიერები კი ისე ადვილათ ლაპარაკობენ მზეზე, თითქოს ის ხელის გულზედ ედოთ.

ჩვენი მზის გარდა ცის სივრცეში ბევრი სხვა მზეებიც მოინახებიან. ეს მზეებიც ჩვენ სითბოს და სინათლეს გვაძლევენ. ამ სხივებს მეცნიერები იგდებენ ხელთ სხვა და სხვა იარაღების საშუალებით და იგებენ თუ როგორი არის მნათობი, რომელმაც ეს სხივი გამოგზავნა. ეს მზეები ისე შორს არიან ჩვენგან, რომ შუქი ჩვენამდის რომ მოახწიოს საჭიროა ათი, ასი და ათასი წლები.

განა ეს ზღაპარი არ არის? ბევრი რამ გაიგეს მეცნიერებმა. გაიგეს ის, თუ რისაგან შესდგება ყოველისფერი, რაც



## ცოდნის გამარჯვება

ბუნებაშია, გამოიკვლიეს რა გავლენა აქვს სიტბოს ამ საგნებზე, როგორ ჩნდება ორთქლი, სითხე, მაგარი საგანი. როგორ შეიძლება ჰაერის სითხეთ გარდაქცევა და მერმე მისი გამაგრება.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს მუდმივი მოძრაობა ბუნებაში, გაიგეს კიდეც იმათ, რომ არასფერი არ იკარგება ბუნებაში, ირღვევა მთა, შრება მდინარე, ხმება ნცენარე, კვდება პირუტყვი, მაგრამ ის პატარა ნაწილები, რომლისაგან ეს ყველაფერი შესდგებოდა, ისევ ცხოვრობენ, და შეადგენენ ახალ არსებას, ახალ საგანს. ჩვენ რო გამოვკითხოთ რომელიმე სულ მცირე ნაწილს, რომელიც ჩვენს სხეულს შეადგენს თუ რომდენი იმოგზაურა მან, სანამ ჩვენ სხეულამდის მოახწია. ბევრს საყურადღებო რასმეს გვიაბობდა. ის გვეტყოდა, რომ ის იყო ქვაში, მცენარეში, წყალში, ლითონში, მიწაში, ყვავილში, ნადირში და სხვა.

ამ რიგათ ყოველ სულ მცირე საგანში, ყოველ იოტამტვერში იმყოფება მთელი მილიონი უხილავი ნაწილები. მეცნიერებმა გამოიყვანეს კანონები, რომელნიც განაგებენ ბუნებას. ამ რიგათ ჩვენ ვხედავთ თუ რა დიადია მეცნიერების გამოკვლევა. როგორც ვეებერთელა საგანი, ისე სულ მცირედნი, იოტის ტონა არ დარჩენილა მისგან განუხილავი, მან გაიგო სამყაროს საიდუმლოები, სადაც ცის სივრცეში მიმოდინან ათასგვარი მნათობნი, მან განიხილა შინაარსი სულ პატარა მარცვლისა. ასეთ ძნელ ამოცანების ახსნას ზღაპარშიაც არ მოსთხოვს მზეთ-უნახავი თავის გმირს. მაშასადამე მეცნიერების ძლიერება ზღაპრის მომხიბლაზე უძლიერესია.

სად არ მიახწია მეცნიერებამ თავისი ცოდნით! სად არ ააგო მეცნიერებამ თავისი სასახლეები! მეცნიერებმა აღმოაჩინეს მუდამ უცვლელი კანონები. ცოდნა იმოდენათ ძლიერია, რომ შეუძლია უტყუარი აზრით გამოსთქვას, იწინასწარმეტყველოს იმაზედ, რაც მოხდება კარგა ხნის შემდეგ. სამოცი წლის წინად ორმა მათემათიკოსმა წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ცის სივრცეში უნდა გამოჩნდეს ახალი პლანეტა (ნეპტუნი). თავისი მათემათიკური ანგარიშით მივიდნენ ამ

დასკვნამდის. ამათ გამოთვალეს მისი მღებარეობა, და მართლაც, როდესაც ვარსკვლავთ-მრიცხველებმა თავისი ტელესკოპებით დაიწყეს ცქერა, დაინახეს უცნობი პლანეტა, ცოტა უფრო გვიან ერთმა მეცნიერმა, რომელმაც ნახა ადრინდელი ჩიტის უთავო სხეულის ჩონჩხი, წარმოსთქვა ის აზრი, რომ ამ ჩიტს თავი უნდა სხვანაირი ჰქონოდა და პირში ბასრი კბილები ელაგებოდაო. ჩიტი და კბილები! განა სასაცილო არ არის ეს აზრი. მაგრამ მერე სულ მოკლე ხანში ნახეს ამ ადრინდელი ჩიტის ჩონჩხი, უფრო შენახული, რომელსაც პირიც და თავიც ჰქონდა და სჩანდა, რომ პირში ბასრი კბილები ელაგა. ამ რიგად გამომკვლევნი მეცნიერის აზრი ბრწყინვალედ დამტკიცდა.

სამაგალითო წინასწარმეტყველობა წარმოსთქვა შესანიშნავმა მეცნიერმა მენდელეევიმ. მენდელეევი იკვლევდა სხვა და სხვა ნივთიერებას და ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა ნივთიერებიდან შესდგება, იმის დაგვარათ თუ რა თვისება აქვთ, სწორი წყობები და თუ ამ წყობებში დანაკლისია, ეს იმიტომ, რომ არის ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც ჯერ აღმოუჩენელია მეცნიერებისაგან. ნივთიერებანი, მისი აზრით, შეადგენენ თითქოს ანბანს, და აი ამ ანბანს ზოგან აკლია ასოები. მენდელეევი აღმოაჩინა თუ რა ნივთიერება აკლია ამ „ნივთიერებათა ანბანს“.


მან სთქვა, რომ ეს საგნები არსებობენ ბუნებაში, თუმცა ჯერ აღმოჩენილნი არ არიან. მან გამოიანგარიშა მათი წონა, დამდნობელობა, და თუ როგორ უერთდებიან ეს საგნები სხვებს. მართლაც არ გაუფლია ოც წელიწადს ეს ნივთიერებანი იყვნენ აღმოჩენილნი. ყოველი აზრი, რომელიც წარმოსთქვა მენდელეევიმ ნათლად დამტკიცდა.

გერმანელმა მეცნიერმა გელმგოლცმა სთქვა: მეცნიერების კანონები ეს ის ტელესკოპებია, რომლის საშუალებით ჩვენ თამამად ვინებდებით წარსულის და მომავალის უკუნეთში.

მეცნიერებისთვის არ არის დრო და მანძილი. მეცნიერების დახმარებით ჩვენ დაგვიახლოვდა ცა თავისი მნათობებით, ჩვენ გავიგეთ მისი ისტორია. ამ ისტორიისათვის კი ადამიანის სიცოცხლე ერთი წამია, მეტი არაფერი.

(შემდეგი იქნება)





## გამოსადეგი ცოდნა.



ველ დროიდანვე ნეესი ყოველ ოჯახში შემოღებულია სახმარებლათ.

უხნიერეს დროის ნანგრევებში და გამოქვაბულებშიაც კი პოულობენ ნეესებს.

ნეესის მოწყობილება და მასალა, რითიც ძველ დროში აკეთებდნ ამას, მიეგვანება სწორეთ იმ ნეესებს, რომლებსაც ახლაც ხმარობენ ესკიმოსები და სხვა გაუნათლებელი ხალხი.

ნეესის ხმარება უფრო ადრე შემოიღეს, ვიდრე რომელიმე ნაქსოვს და დართულს შემოიღებდნ. ნეესს ჯერ კიდევ მაშინ ხმარობდნ, როდესაც ძაფის მაგივრათ პირუტყვების ძარღვებით ჰკერავდნ.

როგორც კი პირველ ადამიანებმა შემოიღეს სიცივისაგან ტანზე პირუტყვების ტყავის მიფარება, მაშინვე მოუნდათ ნეესი ამ ტყავის ნაჭრების შესაერთებლათ, ქვების წვეტიანი ნატეხები, თევზის ძვლები. სწორეთ გამოსადეგი შეიქნა ამ მიზნისათვის.

ნეესი ბევრათ არ გამოცვლილა დროთა ვითარების განმავლობაში: ისევ ისე წვეტიანი, პაწაწა, წვრილი ჯოხია, რომლის ერთ ბოლოს ყუნწი აქვს გახვრეტილი ძაფის გასაყრელათ.

რისგანაც ამ ნეესს აკეთებენ ის კი ძალიან გამოიყვალა. ბრინჯაოსანის საუკუნეში ძველი ნეესები, რომელნიც ადვი-

ლად ტყდებოდენ გააუმჯობესეს და ბრინჯაოდან, ან გადამდნარ სპილენძისაგან დაიწყეს მისი გაკეთება. ეგვიპტელები, ბერძნები და რომაელები დიდხანს ხმარობდენ ბრინჯაოსნის ნევსებს და ქინძისთავეებს.

საშუალო საუკუნეებში, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ძვირფასი, ხელოვნურათ ნაკერი ტანისამოსის ჩაცმა, მაშინ ნევსებიც უფრო წმინდა და კარგი მოუნდათ — წმინდა საკერავისთვის. მაშინ შემოიღეს რკინისაგან გაკეთებული ნევსები. მას აქეთ ისეთი დიდი მოთხოვნილება იყო ნევსებისა და ქინძისთავეებისა, რომ 1370 წელს ნიურენბერგში შედგა ნევსების ხელოსანთა ამქარი. ამ ხელოსნებმა გააუმჯობესეს ნევსების გაკეთება. დიდრონი, უშნო მახათის მსგავსი ნევსების მაგივრათ შემოიღეს წმინდა, კოხტა, ძალიან მინაგვანი ახლანდელი ნევსებისა.

ჩვენ დროში სულ უბრალო ნევსებს აკეთებენ ფოლადისაგან. ერთი უმთავრესი გაუმჯობესობა ნევსების ფაბრიკაში იყო ისეთი მაშინის შემოღება, რომელიც ნევსებს ყუნწს უკეთებდა. ეს მაშინა პირველათ შეიძინა ინგლისელმა მილვარდომ 1853 წელს.

პირველათ ფაბრიკა მანვე გახსნა ქალაქ რედინში და დღემდის სიდიდით ეს პირველ ფაბრიკათ ითვლება მთელ დედა-მიწაზე.


ამ ფაბრიკაში დღეში ერთი მილიონი ნევსი კეთდება.

ნევსის გაკეთება რთული და ძნელი საქმეა, ამ წმინდა სამუშაოს ბევრი თავის სატენი აქვს. გარდა სამაშინო საქმისა ხელითაც ბევრი გასაკეთებელია, ფოლადის მტვერიც მუშებს ავნებს, მეტადრე სუსტი ფილტვების პატრონს. ამ ბოლოს დროს ცდილობენ მაშინების გაუმჯობესობას, რომ ხელით მუშაობა სულ მოისპოს.

ნევსების ფაბრიკები უმეტესათ ინგლისში არის, მერე გერმანიაშია, სხვა ქვეყნებში კი სულ ცოტა, მაგალითათ: რუსეთში, ავსტრიაში. საკვირველია, რომ იმისთანა დიდ სავაჭრო ქვეყნებში, როგორიც ჩრდილოეთ ამერიკაა და საფრანგეთი იქ ნევსების ფაბრიკები სრულეებით არ მოიპოვება.

ნევსებს და ქინძისთავეებს თითქმის მხოლოდ ინგლისში და გერმანიაში აკეთებენ.





### ანდაზები

(მ. ლელაშვილისაგან წარმოდგენილი)

რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამს.

ცეცხლმა მისი წვაც იცისო.

ლორმა ისეთი რა ჭამა, რომ არ იყოს უმსგავსი და უგემური.

### არითმეტიკული ამოცანა

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილის მიერ)

ვაჭარმა რამოდენიმე ჩაფი ღვინო იყიდა და ოთხს ჭურჭელში ჩაასხა.

აღმოჩნდა რომ პირველ ჭურჭელში სამი ჩაფით მეტი ჩაესხა იმაზე, რაც დანარჩენ სამს ჭურჭელში ერთად.

მეორეშიც ასევე სამი ჩაფით მეტი ჩაესხა, ვიდრე მესამე და მეოთხე ჭურჭელში იყო ერთად.

მესამეში ჩაესხა ექვსი ჩაფით მეტი მეოთხეზე. მეოთხე ჭურჭელში ჩასხმული ღვინო კი მესამედს შეადგენდა მესამე ჭურჭელში ჩასხმულ ღვინოსას.

უნდა შევიტყოთ, რამდენი ჩაფი ღვინო უყიდნია ვაჭარს და სახელდობრ რამდენი ჩაფი ღვინო ჩაუსხამს თვითეულს ჭურჭელში.

### ზარაღები

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილის მიერ).

პირველი სიტყვის ნაწილი  
დედათ სქესის სახელია.

ბოლო ბანქოს მოთამაშე  
მომგებთ საქებელია.  
მთელი თქვენ დამისახელეთ—  
სამღვდელი სამოსელია.

სიტყვის პირველს ჩვენ ვხმარობთ  
გატეხილის კურისათვის;  
მეორეს სახლში ვინახავთ  
ყმაწვილების მოვლისათვის.  
მრთელი სანოვაგე არის  
მადიანი სტუმრისათვის  
და არც წყენა შეუძლიან  
იმის მკვიდრის კუჭისათვის.

### ბრძნული სიტყვა

პატარავ, როცა პირველათ მოსდინხარ ქვეყანაში—შენ  
ტირი და გარეშემო კი ყოველს სიხარულის ღიმილი მოსდის  
—ქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე—ყველანი  
სტიროდენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს.



გამოცანების № VII—VIII.

(პატარების განყოფილებისა)

გამოცანები: 1) აბრეშუმის ქია, 2) კვირისტავი, 3) კურდღელი.

ზმა: სოფელი, ქვეყანა, ირემი, იარამი.

გამოცანა—ზმა: მიწა, ხაფაგა.

ანაგრამა: აზრი, ზარი, ზირა.

შარადა: ზიარება.



მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გა-  
სეტი

# ა მ ი რ ა ნ ი

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს :

ერთის წლით:

ნახევარის წლით:

თფილისში. 6 მ. 50 კ. თფილისში. 4 მ. — კ.

საზღვარ-გარედ. 7 „ თფილისის გარედ 4 „ 50 „

საზღვარ-გარედ 12 „ — „ საზღვარ-გარედ 6 „ — „

ე რ თ ი ს თ გ ი თ :

თფილისში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარე  
1 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ფოსტის აღრესი Тифлисъ, редакція газ. „АМИРАНИ“.

მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის

ჯეჯილზე



# ჯეჯილი

საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი  
(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: ტარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

## ჟ უ რ ნ ა ლ ი „ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.

ნახევადი წლით . . . 2 „ ცალკე ნომერ . . . . . — 40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნილ. მღვდლიევისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“. დაბა **სონ-შე** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიანში** გ. ფოცხვერიას, **ჰვირილაში** წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, **ბაქოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** გ. მოსეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზოგადოებაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წაადებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 მ.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.